პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 17 (19459) ◆ სამშაბათი, 21 იანვარი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწყარმოებს მიმდინარე წლის 22 და 23 იანვარს დილის 9 საათიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში.

ტელეფონი: 93-73-47.

ლენინი ცოცხლობდა, ლენინი ცოცხლობს, ლენინი იცოცხლებს!



ვ. ი. ლენინი.

მოსკოვი. წითელი მოედანი. ლენინთან.

ქვეყნად მშვიდობისათვის

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ მშვიდობისა და განიარაღების პროგრამას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაშია ჩამოყალიბებული. ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარე ხალხმრავალი მიტინგებისა და კრებების მონაწილენი აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ დამკვრელური შრომით განამტკიცონ მშვიდობის საქმე, ყველაფერი იღონონ, რათა კაცობრიობას თავიდან აიცილონ ბირთვული ომის საფრთხე.

განვაიარაღოთ ედანეტა

ყველა სპეციალისტს, მეცნიერს, პოლიტიკოსს გამოუქვს ერთი დასკვნა, რომ ბირთვული იარაღის გამოცდების შეწყვეტა უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა.

— ჩემთვის, როგორც მეცნიერისათვის, განსაკუთრებით გასაგები და ახლობელია მ. ს. გორბაჩოვის განცხადების ეს სიტყვები, — თქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ხუროძემ, რომელმაც განსნა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მიტინგი. — სსრ კავშირი მხარს უჭერს ატომის ენერგიის მშვიდობიან და არა სამხედრო გამოცდას. ეს ნათქვამია დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში.

— მ. ს. გორბაჩოვის განცხადება გახდა კიდევ ერთი პოზიტიური ნაბიჯი ენერგიის შეთანხმებათა განხორციელების გზაზე. — თქვა მიტინგზე გამოსულმა ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა თ. გორგილაძემ. — ჩვენ მხარს ვუჭერთ არა მეტოქეობას მსაზრივი მოსპობის იარაღის სრულყოფაში, არამედ მშვიდობიან შეჯიბრებას მეცნიერებაში, კულტურასა და სპორტში. და ეს ამოცანა, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, უნდა შეასრულონ ჩვენი თაობის ადამიანებმა, არ დააკისრონ იგი შთამომავლებს.

მიტინგის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ კარგი სწავლით, კეთილსინდისიერი შრომით განამტკიცონ სამშობლოს ძლიერება.

მგზნებარე მოწოდება

გავთანავისუფლოთ კაცობრიობა ბირთვული კატასტროფის შიშისაგან, თავიდან ავაცილოთ მსოფლიოს მომაკვდინებელი ტვირთი — გონიერებისადმი. ეს მგზნებარე მოწოდება დღეს გულგრილს ვერ დატოვებს ვერავის, რადგან საქმე ეხება წმიდათაწმიდასა და მარადიულს — ქვეყნად სიცოცხლეს, — თქვა თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანმა მ. კვირიკაშვილმა, რომელმაც მიტინგი გახსნა. — და ამას შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ საყოველთაო ძალისხმევით.

— მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამამ, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა, ერთხელ კიდევ დადასტურა, თუ რა ერთგულია ეგი მშვიდობისა. აღმშენებლობითი შრომისა. ჩვენი სამშობლო, რომელმაც თავის თავზე გადაიტანა მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი, — თქვა მექანიკური საამქროს მტკიცფრავთა ბრიგადირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატმა ს. ორლოვამ.

— მშვიდობის დასაცავად ჩვენი მთავარი არგუმენტია შრომა, დამკვრელური, ეფექტიანი, ხარისხიანი შრომა, — თქვა საამშენებლო-მონტაჟეთა ბრიგადირმა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატმა ა. კარაუზოვამ. — ახალი ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე სწრაფი ტემპით დავიწყეთ მუშაობა. ამას მოწმობს ის, რომ, სამუშაო გრაფიკს გაუსწრო ჩვენმა კოლექტივმა, რომელიც რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმს უპატაჟებს თავის საგემო დავალებათა ვადამდე შესრულებას.

— უომო და უიარაღო მსოფლიო. მსოფლიო, სადაც პლანეტის ყველა ხალხი მეგობრულად იცხოვრებს, დღეს რეალური საკითხია. ხდება, — თქვა მიტინგზე მბეჭდავთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა დ. ღუდუშაურმა. — დასავლეთმა ყურად უნდა იღოს გორბачოვის ხმა, რომელიც კვლავ გაისმის მოსკოვიდან. მშვიდობის პროგრამა არა მარტო საიმედო მომავლის გზებს სახავს, არამედ აყენებს კიდეც კონკრეტულ წინადადებებს, რომლებსაც შეუძლია უზრუნველყოს სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

ადამიანზე ზრუნვით

მთელი კაცობრიობისა და პლანეტის ცალ-ცალკე თითოეული მცხოვრებისათვის ბრძნულ ზრუნვად აღიქვა თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში ჩამოყალიბებული ახალი სამშვიდობო ინიციატივები ერთხელ კიდევ დასტურებენ მშვიდობის შენარჩუნებისადმი ლენინური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუხრელ ერთგულებას. პროფესიითა ზეინკალი ვარ, სამგზავრო ვაგონებს ვარემონტებ. და მე, ისევე როგორც ჩემს ამხანაგებს, გვინდა, მოვითხოვოთ, რომ მატარებლები, რომლებსაც აქედან შორეულ გზაში ვგზავნით, ატარებდნენ მშვიდობიან ადამიანებს, არ მიჰყავდეთ მათ ფრონტზე ჯარისკაცები, არ მიჰქონდეთ იარაღი.

მოწონავე მუშას მხარი დაუჭირეს ინჟინერმა ლ. ტურძელაძემ, მუშა კონტროლიორმა ს. მუმლაძემ, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გ. ნიკოლაიშვილმა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მთლიანად დაუჭირეს მხარი სრულ განიარაღებას.

ყველას მისწრაფებას შემსაბამება

სსრ კავშირის მოწოდება, რომ შევაბიჯოთ მესამე ათასწლეულში ბირთვული იარაღის გარეშე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაშია ჩამოყალიბებული, ყველა საბჭოთა ადამიანის ნებას გამოხატავს. მოკლედ, მაგრამ ემოციურად ილაპარაკეს ამის შესახებ რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ კორდსაგრეხი საამქროს ცვლების შეცვლის დროს მიტინგზე შეკრებილმა მისმა მშრომელებმა.

— მ. ს. გორბაჩოვის განცხადება კვლავ მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პრაქტიკული საქმეებით შეასხას ხორცი „ქენეკის სულისკვეთებას“, — თქვა ცვლის უფროსმა ზინაიდა ფოლუბინამ. — საბჭოთა კავშირმა, რომელიც გულდაჯერებით და თანამიმდევრულად ახორციელებს სამშვიდობო კურსს, კიდევ ერთი უალრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა დიდ სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების მიმართულებით — სამი თვით გაახანგრძლივა ბირთვული იარაღის გამოცდების თავიანი მორატორიუმი. მსოფლიო იმედით მოელის ამერიკის შეერთებული შტატებისგან პლანეტის ბედ-იღბლისათვის დიდი პასუხისმგებლობის შეგებებით ნაყარნაბულ საპასუხო ნაბიჯს.

— დადგა არჩევნის დრო, როცა სამი აზრმა და მომავალი თაობებისათვის ზრუნვამ უნდა გაიმარჯვოს, — თქვა მგრეხილი ბუბუთეიშვილმა, — ჩვენმა ქვეყანამ თქვა თავისი სიტყვა, რომელიც ყველას მისწრაფებას შეესაბამება. მაგრამ მყარი და ურყევი მშვიდობის გზის გაკვალვა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება.

ორატორებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი და მოიწონეს საბჭოთა სახელმწიფოს საპროგრამო დოკუმენტი, განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ დამკვრელური შრომით, საყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული ახალი წარმატებებით, წარმოების ინტენსიფიკაციის რეზერვებისა და გზების დაუცხრომელი ძიებით განამტკიცონ მშვიდობის საქმე.

(საქინფორმი).

ამხანაგ ვიტალი ივანეს ძე ვოროტნიკოვს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, სამოცი წლისთავის დღეს.

გისურვებთ, ვიტალი ივანეს ძე, ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხანაგ ვ. ი. ვოროტნიკოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის ოქროს medlis მინიჭების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვიტალი ივანეს ძე **ვოროტნიკოვს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** ოქროს medlis და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და უროო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 17 იანვარი.

... კირის ახალი „ამპლუა“

„კომუნისტი“ ემიეზს რეზერვებს

კირი, როგორც მჭიდა მასალა, გამოცდილია საუკუნეების მანძილზე და მისი გამოყენების მრავალმხრივობა ეჭვს არ იწვევს. ბოლოდროინდელ სპეციალისტთა თაობები საუკუნეების მანძილზე გადასცემდნენ ერთმანეთს კირის გამოყენების ძველთაგანვე ცნობილ მეთოდს. ამასთან დაკავშირებით გასაგებია, რომ ცნობილი მეთოდით კირის გამოყენების შედეგად მიღებულ ნაკეთობათა ტექნიკური თვისებები აღარ შეესაბამება თანამედროვე სამშენებლო ტექნიკის მოთხოვნებს, რაც შეუძლებელს ხდის მისი ფართო მასშტაბით გამოყენებას.

ამჟამად კირს, როგორც ტექნოლოგიურ კომპონენტს, ფართოდ იყენებენ მხოლოდ ავტოკლავურ ნაკეთობათა წარმოებაში. ავტოკლავური ტექნოლოგია კი რთული ლითონ და ენერგოშემცველი პროცესია, კირის შესწავლისადმი მიძღვნილი მრავალი ფიზიკურ-ქიმიური კვლევების ინტეგრაციის დასკვნები დაედო საფუძვლად „საკმშენმასალების“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ადგილობრივი მჭიდა მასალების სექტორში შესრულებულ სამუშაოებს, ჩვენ მიერ მიღებული შედეგები, რომლებიც შემოწმდა დიდ სამრეწველო საწარმოებში, განაპირობებს კირის ფართო და მრავალმხრივი გამოყენების პერსპექტივას თანამედროვე საშენ მასალათა მრეწველობაში და მშენებლობებზე.

მიღებულია ახალი სახეობის მჭიდა მასალები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვაგვარ ნაკეთობათა დასამზადებლად, მათი გამაგრება ხდება ავტოკლავების გარეშე, ბუნებრივ პირობებში ან ჩვეულებრივი გაორთქლით. ასეთი მჭიდა მასალები აღარ მოითხოვს დეფიციტურ პორტლანდცემენტს „200“ მარკამდე სიმტკიცის ნაკეთობათა დამზადებისათვის. პორტლანდცემენტს ხომ რთული ლითონ და ენერგოშემცველი ტექნოლოგიით იღებენ.

ახალი მჭიდა მასალის დეკორატიული თვისებები განაპირობებს მათი დიდი გამოყენების შესაძლებლობებს სახვითს ხელოვნებაში, ამ თვალსაზრისით ისინი გაცილებით უფრო პერსპექტიულია, ვიდრე დეფიციტური დეკორატიული ცემენტები.

კერძოდ, მათი გამოყენება შეიძლება საკედლე ბლოკებისა და აგურის წარმოებაში, საქირო ხსნარისა და მოსაპირკეთებელი ფილების მისაღებად, სხვადასხვა სამშენებლო ნაკეთობათა დეკორატიული დიფარვისათვის, აგრეთვე, სახურავისა და მოსაპირკეთებელი აზბესტის ნაკეთობათა და შენობათა ფასადების დიფარვისათვის, სხვადასხვა არქიტექტურულ-მხატვრული ნაწარმის დამზადებისათვის.

სიახლით ჩვენი რესპუბლიკის ბევრი ორგანიზაცია დაინტერესდა. სამწუხაროდ, ზოგიერთი იმ ორგანიზაციიდან, რომლებიც ნერგავენ ამ სიახლეს, წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს წარმართავენ თვითნასწავლი სპეციალისტების მეოხებით. ამიტომ მათ მიერ მიღებული შედეგები გაცილებით ნაკლებფექტიანია, ვიდრე ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენთან თანამშრომლობის შემთხვევაში.

იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ კირის პოტენციური შესაძლებლობანი მჭიდა მასალების დამზადების და გამოყენების ტექნოლოგია უნდა დამუშავდეს რეგიონების მიხედვით, ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით, წარმოების ან გადამუშავებული მთის ქანების ნარჩენებით. მჭიდა მასალების მიღებისა და გამოყენების ტექნოლოგიური რეგლამენტის დამუშავება მაღალკვალიფიციურად მხოლოდ ჩვენი ინსტიტუტის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელდეს.

ამჟამად ინსტიტუტში „სახმშენთან“ ხელშეკრულების საფუძველზე მუშავდება თემა, რომელიც ახალი სახეობის კირშემცველი მჭიდა მასალების წარმოებაში გადამუშავებული ქანების და სხვა წარმოების ნარჩენების გამოყენების შესაძლებლობებს ითვალისწინებს.

მჭიდა მასალები გამოყენებული იქნება საკედლე ბლოკებისა და სხვა საშენ მასალათა წარმოებაში იმ შემთხვევაში, როცა მათი გამაგრება მიმდინარეობს ბუნებრივ პირობებში ან გაორთქვლით. ამ თემის დამუშავების პროცესში მიღებული შედეგები საფუძვლად დაედება ჩვენს მომავალ ურთიერთობას სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

ი. ჩხიკვაძე,
საშენ მასალათა კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „საქსაშენმასალების“ ადგილობრივი მჭიდა მასალებისა და ნაკეთობათა სექტორის გამგე.

... ... „ამპლუა“

„კომუნისტი“ ემიეზს რეზერვებს

ამ ... ...

სკკპ XXVII ყრილობის შესაბამისად

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

კოლექტიური შრომის სიკეთე

ქობულეთის რაიონში არის სოფელი „წითელი ოქტომბერი“. სოფლის ისტორია დაახლოებით 100 წელს მოიცავს. იგი დაკავშირებულია 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ზავთან. ომის დამთავრების შემდეგ თურქეთში მყოფმა ათასობით ბერძენმა რუსეთს მოაშურა, ზოგი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გაიფანტა. დიდი ნაწილი ბათუმში, ახლანდელ ქობულეთსა და ხელვაჩაურში დასახლდა.

„წითელ ოქტომბერს“ დაებედა მუდამ ენერგიული, შრომისმოყვარე და უნარიანი თავკაცი ჰყოლოდა. კოლექტივიზაციის პირველი წლიდან სოფელს თითქმის ოცდაათი წელი ედგა სათავეში ცნობილი მეურნე, სოციალისტური შრომის გმირი ქრისტეფორე მერიციდი. მის დროს დაატრასეს მთები და ფერდობები, გააშენეს ციტრუსი და ჩაი, გაიყვანეს გზები, ააშენეს კლუბ-კინოთეატრი, სკოლები, ფერმა, პავლიონი, სხვა ნაგებობანი. მერიციდის პენსიაზე გასვლის შემდეგ თავმჯდომარედ სოფელმა ანესტი მურუზიდი აირჩია. 1975 წლიდან კი კოლმეურნეობას სათავეში უდგას გიორგი პავლიდი. რა გააკეთა გიორგიმ კოლმეურნეობისათვის, როგორ წარუძღვა იგი თანასოფლელებს? ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორი ფაქტი დავასახელოთ: მიათე ხუთწლედის ბოლოს სამეურნეო და კულტურულ შენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის კოლმეურნეობამ დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. გავიდა თითქმის წელი, ეკონომიკური მაჩვენებლებით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სოფელი ისევ გამოვიდა გამარჯვებული და კვლავაც დაიმსახურა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, გაუსწრო ისეთ მძლავრ კოლმეურნეობებს, როგორიცაა ხუცუბანი, დაგვა, ბობოყვათი, ციხისძირი, ეს ფაქტი, თავისთავად „წითელი ოქტომბრის“ მშრომელთა სასარგებლოდ ბევრის მთქმელია.

ერთი წლის წინ შემოდგომაზე ბათუმში საბერძნეთის გემი ჩამოდგა. ინტერკლუბის თანამშრომლებმა ბერძენი მეზღვაურები „წითელ ოქტომბერში“ ავტობუსით წაიყვანეს. ავტომანქანა მწვანე კონცხის გადასასვლელზე როგორც კი ავიდა, ბერძენებმა აღტაცებით წამოიძახეს „ადრიატიკა, ადრიატიკა“. მართლაც დიდებული სურათი გადაეშალათ — მწვანით დაბურული გორაკებს იქით ლურჯად მოლივლივე შავი ზღვა გაშლილიყო.

უკან ჩამოვიტოვეთ ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციები, არქიტექტურული ნაგებობები, მანქანა „წითელი ოქტომბრისაკენ“ მიმავალ ასფალტირებულ გზას დაადგა. გზა შეიფიროდა და აღმართს შეუდგა. მარჯვნივ და მარცხნივ ციტრუსის ბაღები იშლებოდა. ხეივნებში ქვითკირის თეთრად მოქთალთე ორსართულიანი ოდა სახლები მოჩანდა. ოქროსფრად მოღაღანე ციტრუსის ხეები გზისპირას ისე ახლოს იყო, ხელი გაგიწვედა დასაკრეფად. გიდი ვერ აღდიოდა უამრავ შეკითხვებზე პასუხის გაცემას. უცხოელებს არ სჯეროდათ, რომ ეს თვალწარმტაცი სოფელი, ბარაქიანი ბაღები თურქეთიდან გადმოსულ ბერძნებს ეკუთვნოდათ. რამდენჯერმე ავტობუსი გააჩერებინეს და შემხვედრს ბერძნულად გამოელაპარაკნენ. ფაქტი ჯიუტიაო, ნათქვამია. დარწმუნდნენ და აღფრთოვანებაც ვერ დაფარეს. არ ჩანდა არც ერთი ღარიბი ოჯახი. ყველგან სიუხვე და სიმდიდრე იგრძნობოდა. ასეა, ჩვენ შეჩვეული გვაქვს თვალი და ისე ვერ ვხედავთ, ისე ვერ ვაფასებთ, როგორც ამას უცხო თვალი ხედავს და აფასებს.

ორიოდე საათის შემდეგ სტუმრები და მასპინძლები სიხარულით აცრემლებულნი დაშორდნენ ერთმანეთს. რაც აქ ვნახეთ, ჩვენს ქვეყანაში რომ მოვყვეთ, არც დაგიჯერებენო, თქვა ხნიერმა მეზღვაურმა. წავიდნენ და თან წაიღეს წარუშლელი შთაბეჭდილებები. ეს დეტალი იმიტომაც მოვიგონე, რომ როცა ერთმანეთს ადარებ ორ სამყაროს, განსხვავება სტუმრისათვის უფრო ნათელი ხდება.

ზაფხული მეჩაიეთა ყველაზე დატვირთული სეზონია. შარშან მათ ამინდი არ სწყალობდათ. იმ დღესაც, მარტოდ რომ დავადექი „წითელი ოქტომბრის“ გზას, ცრიდა. სოფლის გორაკები ნისლში გახვეულიყო. რაკი ბუნება ჭირვეულობდა, არც მეჩაიეები ეპუებოდნენ, სპეციტანსაცმელში გამოწყობილნი პლანტაციებს შეესეოდნენ. ლაო ჩაის კრეფდნენ. სოფელმა ივალდებულა ხუთწლედის გეგმა ივლისის ბოლოსათვის შეესრულებინა. სეზონის დამთავრებამდე გეგმის გადამეტებით 500 ტონა მოეკრიფა. ეს ვალდებულება დიდი გადამეტებით შესრულდა. ახლა მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს უყრიან საფუძველს.

წინა ხუთწლედთან შედარებით ჩაის მოსავალი კოლმეურნეობაში 200 ტონით გაზარდეს. ციტრუსისა 150 ტონით, რძისა — 10 ტონით. კოლმეურნეობაში თითქმის მთლიანად ამოწურა მწის რეზერვები. ბუნებრივად ისმება კითხვა, შემდგომში როგორ ფიქრობენ მოსავლის გაზრდას? ამ პრობლემის გადასაწყვეტად უკვე შემუშავებული აქვთ კონკრეტული გეგმა და დაიწყეს მისი განხორციელება. ამორტიზებულ ჩაის პლანტაციებს თანდათან შეცვლიან უხმარისავლიანი ახალი ჯიშებით. აითვისებენ ყველა მიგდებულ, აქამდე გამოუყენებელ მიწის კონტურებს, სადაც გააშენებენ ლიმონს. ლიმონი ჩქარა იძლევა მოსავალს, მარტო ამ გზით მეთორმეტე ხუთწლედში ლიმონის მოსავალს გაზრდიან 50 ტონით, რაც ასი ათას მანეთს შემატებს კოლმეურნეობას. იბრძვიან იმისათვის, რომ ციტრუსის სპეციტარო მოსავალი გაუთანაბრონ საკარმიდამოში მოწეულს, ამის საფუძველს იძლევა საიჯარო რგოლები და ანაზღაურების ახალი ფორმა.

„წითელი ოქტომბრის“ მშრომელები, როგორც იქ სიამაყით მითხრეს, დღითი დღე უკეთ ცხოვრობენ. სამასი კომლიდან ორასს ტელეფონი უდგას. ავტომანქანები, ასფალტირებული გზები, გაზქურა, ტელევიზორი, ბარაქიანი ბაღები, რუსული და ქართული სკოლები, ყოველივე ეს სოფლის სიკეთეა, მაგრამ აქ საფიქრალ-საზრუნავიც აქვთ. იგრძნობა ახალგაზრდობის მიგრაცია. ბუშახელის სიჭარბის გამო ახალგაზრდობის ერთ ნაწილს საქმე ვერ გაუჩინეს. სოფლის თავკაცები ამ პრობლემის გადაჭრაზე ითხოვენ სოფელში გაიხსნას რაიმე საწარმო ან რომელიმე ქარხნის ფილიალი.

„წითელი ოქტომბრის“ მშრომელები ენერგიულად გაისარჯნენ, რათა წარმატებით დაემთავრებინათ მეთორმეტე ხუთწლედი. თქვეს და კიდეც შეასრულეს, ახლა ისინი მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად ენერგიულად შრომობენ.

მ. გოგრგილაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

პარტიის წითელწყაროს რაიონული ორგანიზაციის XXVIII კონფერენციაზე, როცა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატობის კანდიდატად სამთაწყაროს მევენახეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბეჟან გონაშვილი დასახელეს, მას სახეზე სიწითლემ გადაჰკრა; რატომღაც მგონია, რასაც ვაკეთებ, ომაზე მეტად მაფასებენო.

ეს სიტყვები დირექტორის თავმდაბლობაზე მეტყველებს. ისე კი ამ ახალგაზრდა კაცმა მოკლე დროის მანძილზე ბევრი და სასარგებლო საქმის გაკეთება მოასწრო ახლად აღორძინებულ სამთაწყაროში.

ახალგაზრდა დირექტორის თავდადებული შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენილა, არც აღიარება მოჰკლებია — იგი დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, არჩეულია პარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიუროს წევრად, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად, არის რაისაბჭოს დეპუტატი. ყოველივე ეს კი დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ბეჟანს.

1980 წელს, როდესაც საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა, 370 ტონა ყურძენი მოკრიფეს. 1981 წლის სექტემბერში მეურნეობას 25 წლის ბეჟან გონაშვილი ჩაუდგა სათავეში. პირველ წელს მეურნეობის წმინდა შემოსავალი 45 ათას მანეთამდე იყო. დამთავრდა ხუთწლედი და ფულადმა შემოსავალმა სამ მილიონ მანეთს მიაღწია. ამასთან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმები ყველა სახეობის მიხედვით გადაჭარბებით შესრულდა.

აი ამ მიღწევებით წარდგება კომუნისტთა დიდ ფორუმზე საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი ბეჟან გონაშვილი.

უ. წყარუაშვილი,

წითელწყაროს რაიონული გაზეთის „ახალი შირაქის“ რედაქტორის მოადგილე.

სურათზე: ბეჟან გონაშვილი.

ვ. გენგიურის ფოტო.

უმაღლესი სკოლის საზრუნავი

საიმედო ცვლა გვეგულება

ხუთი წლის წინათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე თბოენერგეტიკის კათედრასთან რამდენიმე ენთუზიასტმა სტუდენტმა საფუძველი ჩაუყარა პატარა სამეცნიერო წრეს, რომელსაც ავთანდილ გიორგობიანი, კათედრის უფროსი მასწავლებელი, ჩაუდგა სათავეში. რას იფიქრებდნენ მაშინ პატიცემული ავთანდილი და ის ოთხი-ხუთი სტუდენტი, რომ ეს პატარა ჯგუფი მომავალში სტუდენტურ სამეცნიერო-კვლევით წრედ მოინათლებოდა და მისი სამეცნიერო ფართო ასპარეზზე გაიშლებოდა...

წრე კი შეიქმნა, მაგრამ თავიდან მის წევრებს კუთხეკ არ ჰქონდათ თავშესაყრელად. მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებდნენ მუშაობას. რა პროზაულიც უნდა იყოს წრის თავდაპირველი საქმიანობა, იგი მაინც ოპტიმისტურად განაწყობდა ხელმძღვანელსა და წევრებს. მაინც რა პრობლემები აწუხებდათ, რაზე ფიქრობდნენ, რაზე დავობდნენ ენთუზიასტები? მათ კარგად ესმოდათ, რომ დღეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სტუდენტების ჩაბმას მეცნიერულ მუშაობაში, რომ ეს ორმხრივ სასარგებლო საქმეა მომავალი სპეციალისტისთვისაც და სამეცნიერო მიზნების განსახორციელებლადაც. დიახ, კარგად ესმოდათ, რომ სტუდენტების მონაწილეობა საკითხების მეცნიერულად დამუშავებაში და წარმოებაში მიღებული შედეგების დანერგვა წარმოების ინტენსიფიკაციის კიდევ ერთი რეზერვია. წრის საქმიანობის მთავარი მიზანიც ასე გამოიკვეთა: ბრძოლა ენერგეტიკული სათბობის ეკონომიისათვის, ფიქრი მარგი ქმედების კოეფიციენტის გაზრდაზე, წვდომა წარმოების პრობლემატურ საკითხებში.

სტუდენტები ადგენდნენ ინდივიდუალურ სამუშაო გეგმებს, იძენდნენ სათანადო ლიტერატურას, აწყობდნენ სემინარებს. ერთი წლის შემდეგ ისინი უკვე მზად იყვნენ შესდგომოდნენ დამოუკიდებელ საძიებო-ექსპერიმენტულ საქმიანობას, მაგრამ ჩანაფიქრსა და ნაზრევს პრაქტიკული ხორცშესხმაც ხომ უთუოდ სჭირდებოდა და, რა დიდი სიხარული განიცადეს, როცა „საქმთავარენერგოს“ ხელმძღვანელობა ინტერესით შეხვდა სტუდენტურ წრის მიერ შემოთავაზებულ საინტერესო წინადადებებს. წრემ თავიდანვე მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ენერგოსისტემის ისეთ ობიექტებთან, როგორიც არის სამრეწველო-სარემონტო საწარმო და თბილისის თბოელექტროცენტრალი, სადაც უშუალოდ ლაბორატორიებში და საწარმოო პროცესის დროს შეეძლოთ განეხორციელებინათ თავიანთი ექსპერიმენტები. წარმოების ხელმძღვანელების ინტერესი უფრო გაიზარდა, როცა ამ პატარა წრის შემოქმედებითი კოლექტივის საქმიანობას ახლოს გაეცნენ.

პირველ წარმატებას, პირველ სიხარულს კიდევ არაერთი წარმატება და გამარჯვება მოჰყვა. თავად განსაჯეთ, განა აქტუალური და დიდად მნიშვნელოვანი არ არის დღეისათვის ისეთი საკითხის დაყენება, როგორიც ორთქლგენერატორების ხურების ზედაპირის გარეთა გაუუჟანგებისაგან საწმენდი მოწყობილობის შექმნაა? წრის წევრებისა და მისი ხელმძღვანელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დიდი ძიებისა და კვლევის შემდეგ მათ შექმნეს ძალზე იაფი და მარტივი კონსტრუქცია, რომელიც დაინერგა თბილისის თბოელექტროქსელში. იოლი გასაგებია, რა სიხარულს მოჰკვრიდა ავთანდილ გიორგობიანს, მარინე რაზმაძეს, დავით ნინუას, გია სიმონაშვილს, რიტა ალექფაკას, ვახტანგ ლორიას და პაატა კახიანს საავტორო მოწმობა, რომელიც ამ გამოგონებისათვის გასცა საბჭოთა კავშირის; გამომგონებლობისა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტმა. სერიოზული გამარჯვება იყო ისიც, რომ მოსკოვის სახელმწიფო ისტორიის მუზეუმში მოწყობილ ერთ-ერთ გამოფენაზე სპეციალისტთა მოწონება ხვდა წრის წევრების მიერ შექმნილ კონვექტიური თბომცელელის წყობრის პროექტს, სტუდენტთა ეს გამოგონებაც თბილისის „თბოელექტროცენტრალში“ დაინერგა, ამ გამოგონებისთვისაც საბჭოთა კავშირის გამომგონებლობისა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტმა გასცა საავტორო მოწმობა, ავტორები: ავთანდილ გიორგობიანი, მარინე რაზმაძე, ბათუ ჭუმბურიძე, თინათინ გვირჯიშვილი.

300 ათასი ტონა პირობითი საბობის ეკონომიას თბილისს ქალაქს თბოელექტროსადგურებისთვის განკუთვნილი მარტივი კონსტრუქციის საცეცხლის დანერგვა. ეს ახალი დანადგარი მით უფრო საინტერესოა, რომ იგი თბომეურნეობაში აქამდე არსებულ ტექნიკურ მოწყობილობათაგან ყველაზე ნოვატორულად, მარტივად და ეკონომიურად წყვეტს საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაწვის პრობლემებს, რაც ასე მნიშვნელოვანია ქალაქების სანიტარიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პროექტმა გაიმარჯვა მოსკოვსა და მინსკში მოწყობილ სტუდენტთა ნამუშევრების საკავშირო კონკურსში, მოიპოვა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომი და ფულადი პრემია. ამ ორიგინალური გამოგონების ავტორები არიან ელდარ ბედიანაშვილი, ლევან ბარამიძე და იამზე კოტარაშვილი.

წრის წევრებს ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა აქვთ. მზია გოგოლი, მანანა ფავლენიშვილი, გიორგი გიგინეიშვილი, მამუკა ტოტოსაშვილი და ია ქელბაქიანი მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის წყლის კონდენსატის დიარაცია, თბური მილების ახალი კონსტრუქციების შექმნა, ხურების ზედაპირების წმენდა ნამწვის მინადენებისაგან, სითბოგადაცემის ინტენსიფიკაცია, ვეოთერმული სითბოს გამოყენება. ამ ნაშრომმა გაიმარჯვა საკავშირო კონკურსში, აღინიშნა ოქროს მედლით და სამეცნიეროტექნიკური საზოგადოების დიპლომით. საყოფაცხოვრებო ნარჩენების სათბობად გამოყენების საკითხზე პროექტი უკვე მზად არის. მისი ავტორები არიან ელდარ ბედიანაშვილი, ია ქელბაქიანი, ნანა გელხვიძე, ნანა ცხვირაშვილი და ინგა ნავდარაშვილი.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, რომელსაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ამსჯელეს ამ სტუდენტთა წრის ნამუშევრებზე. ითქვა, რომ მუშაობის ასეთი ფორმა ნოვატორულია და მისაბაძი, ხოლო საქართველოს სტუდენტთა აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საწრეო მუშაობის წარმართვის ახალი მეთოდების ძიება, მაგალითისთვის გაიხსენეს, კერძოდ, თბოტექნიკის კათედრაზე ჩამოყალიბებული სამეცნიეროო წრე.

დღეს სტუდენტური სამეცნიერო წრის წევრები და მათი ხელმძღვანელი სამართლიანად ამაყობენ არაერთი ჯილდოთი; წრემ დაიმსახურა საკავშირო კონკურსის სამი მედალი, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო ორგანიზაციის სამი დიპლომი, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ორი დიპლომი და ფულადი პრემია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორი ოქროს მედალი, ათამდე საავტორო მოწმობა. 1982-1983 სასწავლო წელს წრის მიერ განხორციელებული სამუშაოების წარმოებაში დანერგვამ 100 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მისცა სახელმწიფოს, ხოლო 1984-1985 სასწავლო წელს 40 ათასი მანეთი.

აღსანიშნავია „საქმთავარენერგოს“ ობიექტების ხელმძღვანელების დიდი დაინტერესება ამ სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი წრის მუშაობით. სწორედ „საქმთავარენერგოს“ ობიექტების ხელმძღვანელების თხოვნით იყო, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატმა წრის ზოგიერთი წევრი სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე გადაიყვანა. ახლა სამრეწველო-სარემონტო საწარმოს სტუდენტების მიერ დამუშავებული ძალზე საინტერესო ორი თემა აქვს გათვალისწინებული ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმაში.

წრის წევრებს უაღრესად მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აქვთ საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკურ მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებასთან.

ძალზე სასარგებლო აღმოჩნდა სტუდენტური წრის გამსვლელი სესია თბილისის რაიონულ თბოელექტროსადგურში. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბოტექნიკის კათედრის წევრები. ტრიბუნაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ წრის წევრები, ისინი უაღრესად საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე ლაპარაკობდნენ, მსჯელობდნენ დამაჯერებლად და კვალიფიციურად. უსმენდნენ თბოელექტროსადგურის სპეციალისტები და უკვირდათ, საიდან უნდა ჭქონოდათ სტუდენტებს თეორიულ ცოდნასთან ერთად ამდენი პრაქტიკული გამოცდილება?

ცნობილია, რა სიძნელეებთან არის ხშირად დაკავშირებული წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვა, მაგრამ წრის წევრები ამ სიძნელეებს არ უშინდებიან. მათ ვალდებულება იკისრეს, თბილისის რაიონის ელექტროსადგურზე დანერგონ ორთქლგენერატორების ხურების, ზედაპირების საწმენდი მოწყობილობა, რომლის მოქმედების პრინციპი ემყარება მაღალი წნევის გადახურებული წყლის „აფეთქების“ ეფექტს.

ასე გადიოდა დრო, წარმატებას წარმატება მოსდევდა. დიდი იყო სტუდენტთა დაინტერესება, პირველ ენთუზიასტებს ახალ-ახალი ჯგუფები ემატებოდა. ახალგაზრდებს „ძველები“ ეხმარებოდნენ. მათი შემოქმედებითი საქმიანობის სასიკეთო შედეგებით ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც დაინტერესდნენ. იმ საწარმოთა შორის, რომლებმაც სტუდენტური წრის მუშაობაზე დაწერილებითი ინფორმაცია ითხოვეს, არიან ჩელიაბინსკისა და ბელგოროდის მსხვილი ენერგეტიკული საწარმოები, ქალაქ ომუტინის მეტალურგიული, ლეპაის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნები და სხვა. ეს გამოძახილი, რაღა თქმა უნდა, დიდად ახარებთ სტუდენტური სამეცნიერო წრის წევრებს და მეტსაც ავალებს მათ. ავალებთ ის დიდი ზრუნვაც, რომელსაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატი იჩენს მათ მიმართ.

წინ ახალი პერსპექტივები, ახალი პრობლემებია, ჩვენც შეეცდებით დავძლიოთ ისინი — ასე ამბობენ სტუდენტური სამეცნიერო წრის წევრები, ასე სწამს მათ ხელმძღვანელს და შეუძლებელია ჩვენც ასე არ გვჯეროდეს; აქამდე განვლილი გზა ახალგაზრდების შესაძლებლობათა თვალსაჩინო გამოხატულებაა და მომავალ მიღწევათა მტკიცე საძირკველიც. ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, მეტად გვახარებს ჩვენ, უფროს კოლეგებსა და მეგობრებს, იმათ, ვისაც მათი სახით საიმედო ცვლა გვეგულება...

ვერა თოფურია,

ინჟინერ-ენერგეტიკოსი.

მსუბუქი მრეწველობის ძნელი პროблემები

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს არ შეუსრულებია, როგორც მთლიანი პროდუქციის გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის 1985 წლის გეგმა. არადამაკმაყოფილებლად წარმოებდა მუშაობა ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებისათვის, რის გამოც ხარისხი ჩამოუქვეითეს შემოწმებული პროდუქციის 2,3 პროცენტს. სისტემის ზოგიერთ საწარმოში არ იყო უზრუნველყოფილი ნედლეულის რაციონალური გამოყენება. პროდუქციის მდარე ხარისხის გამო ჯარიმის თანხამ რვა მილიონ მანეთს გადააჭარბა. მკვეთრად გაუარესდა დარგის ფინანსური მდგომარეობა.

კვლავ დაბალია საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი, განსაკუთრებით შალისა და ბამბის მრეწველობის საწარმოებში, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადულ ფორმაზე მუშათა გადაყვანის დონე. შეუწყნარებლად ნელა ითვისებენ სიმძლავრეებს საჩხერის ბამბის სართავ და თელავის სამკერვალო ფაბრიკებში.

1986 წელს და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედში დარგის მშრომელთა მთავარი ამოცანაა ძირეულად გაუმჯობესონ ნაწარმის ხარისხი თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, ოპერატიულად მოახდინონ რეგირება ბაზრის კონიუნქტურის შეცვლაზე, მჭიდრო კონტაქტით იმუშაონ სავაჭრო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან, დაიჩქარონ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა, ღირსეულად შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას და სკკპ XXVII ყრილობას, წარმატებით შეასრულონ ახალი ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო დავალებანი და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ყოველივე ეს, კერძოდ, ითქვა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა თბილისში გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივზე, რომელმაც განიხილა 1985 წლის მუშაობის შედეგები და 1986 წლის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა და „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა“ პროექტის შესაბამისად.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ბ. მაყაშვილმა.

აქტივის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ანჩაბაძემ.

აქტივს დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. მელქაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ო. ივანაშვილი.

(საქინფორმი).

მოძღვრება, რომელიც გზას გვინათებს

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ მოსკოვის რადიოსადგურმა 1935 წელს თავის უცხოელ მსმენელებს სთხოვა, ეპასუხთათ კითხვაზე, თუ ვინ იყო, მათი აზრით, ისტორიაში უდიდესი ადამიანი, მთელი მსოფლიოს ათასობით მშრომელმა ლენინი დაასახელა.

„...ლენინი. მან 7 წლის განმავლობაში უფრო მეტი სიკეთე გააკეთა, ვიდრე მსოფლიოს ყველა დიდმა ადამიანმა ერთად ოც საუკუნეში. ასი წლის შემდეგ დიდმოწაფეს არ იქნება ქალაქი თუ სოფელი, სადაც არ აღიმართება ლენინის მშვენიერი ქანდაკება. ყველგან ყველაზე საპატიო ადგილს ლენინის სახელს მიაკუთვნებენ“. — ასე წერდნენ ბიგიდიდან. ასეთი პასუხი ათასობით იყო. ასე ფიქრობენ დღესაც მილიონებნი...

ყოველი საბჭოთა ადამიანი, და არა მარტო ისინი, თავისებურად გამოხატავს გულწრფელ სიყვარულს და უდიდეს პატივისცემას ყველაფრისადმი, რაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინს სახელთან არის დაკავშირებული. მოხუცები ლენინის მუზეუმის მახლობლად გავლისას ქუდს ადიხან. პიონერები სალუტს აძლევენ.

არასდროს დამავიწყდება ასეთი ფაქტი: ასეული მწყობრი ნაბიჯით მიდიოდა. ლენინის მუზეუმის შენობასთან მოახლოებისას მეთაურმა გასცა ბრძანება: „სდექ!“ ასეული ერთი კაციივით გაქვავდა და შემდეგ, მეთაურის მორიგი ბრძანების კვალობაზე, მხედრული პატივი მიაგო ბელადის მუზეუმს.

ცხადია, ასეთ რამეს არც სამხედრო წესდება და არც რომელმე განკარგულება არ ითვალისწინებდა. უბრალოდ კაცრის ოფიცერმა, ძველმა მეთაურმა იცოდა, რომ იმ დღეს, 21 იანვარს, ბელადის გარდაცვალების დღე იყო.

თავის დროზე სახკომსაბჭოში ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მაღალის კედელზე ეკიდა სამახსოვრო: „როგორ უნდა ვიმუშაოთ“.

„ჩვენ, — ნათქვამი იყო მასში, — სიცოცხლის საუკეთესო ნაწილს სამუშაოზე ვატარებთ. საჭიროა ვისწავლოთ ისე მუშაობა, რომ სამუშაო გაგვიადვილდეს და იგი ცხოვრების მუდმივი სკოლა იყოს...“

ახლა ცოტას როდი ლაპარაკობენ და წერენ მუშაობის ლენინური სტილის შესახებ. და ეს გასაგებიც არის.

ლენინისაგან გულისხმიერების, თანამოსაქმე ამხანაგებთან ყურადღებიანი ურთიერთობის, პრინციპულობის, გერგილიანობის, ორგანიზებულობის, სხვა საუკეთესო თვისებათა სწავლა ყოველი ხელმძღვანელის მოვალეობაა.

როგორი გადატვირთულიც უნდა ყოფილიყო, ლენინი მუდამ ახერხებდა ურთიერთობას მასებთან, ღებულობდა ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულ „ხოდოკებს“ და ყოველთვის განსაკუთრებით გულისხმიერი, ყურადღებიანი იყო.

ერთხელ პეტროგრადიდან მოსკოვს ჩამოსული ძველი მუშა ლენინს ეწვია. ვლადიმერ ილიას ძემ მას სავარძელი შესთავაზა და ჰკითხა:

— მითხარით, ამხანაგო, რატომ გაქვთ ასეთი შეფიქრიანებული კაცის გამომეტყველება, რა გაწუხებთ?

—უბედურება შემემთხვა, ვლადიმერ ილიას ძე, ცოლი მომკვდა, ბავშვები უმეთვალყურეოდ არის მიტოვებული... დარდობს. მე კი ისიც არ შემიძლია, რომ სათამაშო ვუყიდო. პიტერში ასეთი მაღაზიები არ არის, — საგრძნობი პაუზის შემდეგ ამოილაპარაკა თავდახრილმა მუშამ.

საუბარი მალე შეწყდა, რადგანაც ლენინს მიტინგზე უცდიდნენ...

გავიდა ორ თვეზე მეტი და ერთხელ სამუშაოდან სახლში დაბრუნებულ იმ მუშას სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისაგან გამოგზავნილ პაკეტი დახვდა. აჩქარებით გახსნა შეკრა.. და თვალებს არ დაუჯერა. მასში ეწყო კუბურები, მოსამართი ავტომანქანა და სხვა სათამაშოები. გულაჩუყებულ მუშას ამ ზრუნვამ ცრემლი მოჰგვარა.

„ვიზწავლოთ მუშაობა“...

ამ სიტყვებს ლენინური სამახსოვროდან დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. თანამედროვე ხელმძღვანელი მხოლოდ საქმის ცოდნით და კომპეტენტურობით კი არ უნდა გამოირჩეოდეს, იგი ადამიანთა ნამდვილი ორგანიზატორიც უნდა იყოს, შეეძლოს მათი დარაზმვა, ადამიანის დაბმა-რება, ისეთი პირობების შექმნა, რომ მშრომელებმა სრულად გამოავლინონ და მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი ნიჭი და უნარი...

იზრდება კომუნისტების ძლევამოსილი არმია. მას ყოველთვის ერწყმოდა, ერწყმის და კვლავ შეერწყმება ახალგაზრდა ძალები. მაგრამ ნამდვილი კომუნისტი რომ გახდე, აუცილებელია ყოველთვის სწავლობდე დიდი ლენინისაგან.

რას ნიშნავს ისწავლო ლენინისაგან?

ისწავლო ლენინისაგან — ეს ნიშნავს, ბეჯითად დაეუფლო მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, აწრთობდე საკუთარ პიროვნებაში იდეურ რწმენას, მაღალ კლასობრივ შეგნებას, ურყეობას კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ლენინის სიდიადე ის არის, რომ მან მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა მოძღვრება ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა და მისი გამარჯვებისათვის ბრძოლას მოახმარა მთელი თავისი დიადი სიცოცხლე.

ისწავლო ლენინისაგან— ეს ნიშნავს, საკუთარ პიროვნებაში გამოაწრთო პატრიოტ-ინტერნაციონალისტის თვისებები.

ლენინის სიდიადე ის არის, რომ მას უანგაროდ, უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო. სწამდა, რომ ამოუწურავია მუშათა კლასის ძალები, მტკიცედ იბრძოდა მისი ინტერესებისათვის, რუსეთისა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში განუხრელად იცავდა და ახორციელებდა ინტერნაციონალურ-პროლეტარულ ხაზს.

ისწავლო ლენინისაგან — ეს ნიშნავს, მუდამ მზად იყო ხალხის უანგარო სამსახურისათვის, შენი ცხოვრება მტკიცედ დაუკავშირო მის შემოქმედებითს მოღვაწეობას.

ლენინის სიდიადე ის არის, რომ იგი დაუცხრომელი მშრომელი იყო, მის მიერ შესრულებული სამუშაო კი ჭეშმარიტად ტიტანური. ლენინი ყველაფერზე მაღლა საქმის ინტერესებს, ხალხის ინტერესებს, სოციალიზმის ინტერესებს აყენებდა.

ისწავლო ლენინისაგან — ეს ნიშნავს, საკუთარ პიროვნებაში გამოსჭედო, გამოაწრთო მაღალი მორალური თვისებები: უბრალოება, თავმდაბლობა, ადამიანურობა...

ლენინის სიდიადე ის არის, რომ იგი სიმართლესავით უბრალოა

ინფორმაციები
ფაქტები • მოვლენები

...ველოდებით ...ტუმრებს საქართველოდან

...ორტუგალიური ანდაზა ამბობს: „...ვარანი, რომელიც წინ არის, ორ... უფრო ანათებს“. სწორედ ...ეს ფარანს შეგვიძლია შევადა... ...ოთ საბჭოთა ლიდერის მიხეილ ...ორბაჩოვის განცხადება, რადგან ...ი გაცისკროვნებულია კაცობრი... ...ების მომავლისათვის ზრუნვით“, — განაცხადა „პორტუგალია-სსრ ...ავშირის“ საზოგადოების გენერა... ...ურმა მდივანმა ლუშ დუშ სა... ...ტუშმა. იგი იმყოფება თბილისში ...ორტუგალიაში სსრ კავშირის ...დელეგაციასთან დაკავშირებით, რომ... ...ლიც მიმდინარე წლის შემოდგო... ...ზე მოეწყობა საქართველოს სს ...ესპუბლიკის მაგალითით.

„ეს არის უდიდესი, მე ვიტყოდი, ...ისტორიული მნიშვნელობის დო... ...უმენტი, — თქვა შემდეგ ლუშ ...დუშ სანტუშმა. — მასში მოცე... ...ულია ბირთვული იარაღისგან ...ვენი პლანეტის განთავისუფლე... ...ის კონკრეტული, რეალისტური ...პროგრამა. ამ განცხადებაში ჩამო... ...ყალიბებული ახალი სამშვიდობო ...ინიციატივები მშვენიერი საფუძ... ...ველია კაცობრიობისათვის ყველა ...საჭირბოროტო პრობლემაზე მო... ...რიგებათა მისაღწევად.

ეს დოკუმენტი, რომელიც განა... ...დგურების ყველა სახეობის იარა... ...ღის წინააღმდეგ ბრძოლის პრო... ...გრამაა, დარწმუნებული ვარ, თვი... ...თონ გახდება მძლავრი იარაღი ...პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძა... ...ლების ხელში. ამას დიდი მნიშვნე... ...ლობა აქვს საზოგადოებრივი ორ... ...განიზაციების წარმომადგენლები... ...თვისაც, რომელთა მისია — ხა... ...ლხთა შორის მეგობრობის განმ... ...ტკიცება — წარმოუდგენელია სა... ...ყოველთაო მშვიდობის მიუღწევ... ...ლად.

თბილისში მეგობრობის გზამ ჩამოგვიყვანა. პორტუგალიელები გულწრფელი სიმპათიით ეკიდე... ...ბიან ქართველ ხალხს. ჩვენს ქვე... ...ყანაში უცალელად დდ ინტერესს ...იწვევს სსრ კავშირის ტრადიცი... ...ული დღეები, რომლებიც წარმო... ...ადგენს საბჭოთა კავშირის ცხო... ...ვრების, ამ ქვეყანაში მცხოვრები ...ხალხების აყვავების, ეკონომიკის, ...მეცნიერების, კულტურისა და გა... ...ნათლების სხვადასხვა დარგში მა... ...თი მიღწევების ფართო პანორა... ...მას.

ჩემს თანამემამულეებს ახსოვთ პორტუგალიაში საქართველოს დღეები, 1981 წელს. ათასობით პორტუგალიელი გაეცნო მაშინ საქართველოს მკაფიო და ცხოველსაყოფელ ხელოვნებას. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ფოლკლორული ანსამბლების გამოსვლამ. ჩვენ გავეცანით რესპუბლიკას, რომელმაც რევოლუციის შემდგომ წლებში ჭეშმარიტად უდიდესი ნახტომი მოახდინა მეფის რუსეთის განაპირა მხარიდან აყვავებულ რესპუბლიკამდე, სადაც ადამიანთა შრომა თავისუფალი და სასიხარულოა, სადაც ადამიანებს სწამთ მომავალი. სსრ კავშირში ცხოვრების სიმართლის ამსახველს ვეწყოდები მე ამგვარ შეხვედრებს. დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხომ ამახინჯებენ თქვენი ქვეყნის ცხოვრების წესს, მცდარად განმარტავენ სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის არსს.

დიდი მოუთმენლობით ველით ახალ შეხვედრას ქართულ კულტურასთან შემოდგომაზე, მომდინარე წელს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის წლად გამოაცხადა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს დღეები გახდება პორტუგალიელი და ქართველი ხალხების მეგობრობის დღესასწაული, თავის როლს შეასრულებს მათი მეგობრობისა და თანამშრომლობის საქმეში. მთავარი, რაც გვაერთიანებს, დარწმუნებული ვარ, არის არა სამხრეთული ტემპერამენტი და ერთგულება ფეხბურთისადმი, არამედ ჩვენთვის საერთო იმედი, რომ ჩვენი ბავშვების მომავალს არასდროს არ დაეშუქრება ომი“, — თქვა დასასრულ ლუშ დუშ სანტუშმა.

მ. რონდელი,
საქინფორმის კორ.

20 იანვარი ● საქართველო იუწყება

ფაქტები • მოვლენები

მშვიდობისათვის ბრძოლის მძლავრი იმპულსი

გამოხმაურება

მოსფლიო **საზოგადოებრიობა, რომელიც უდიდესი დაინტერესებით განიხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას, მხურვალედ იწონებს სსრ კავშირის წინადადებას შეთანხმდნენ XX საუკუნის დამლევამდე მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამის მიღების თაობაზე. საზღვარგარეთის ქვეყნების თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივებს ისტორიული მნიშვნელობა აქვს, დიდად აფასებენ ჩვენი ქვეყნის გადაწყვეტილებას ვადა გაუგრძელოს ყოველგვარი ბირთვული აფეთქების მორატორიუმს, მოუწოდებენ შეერთებულ შტატებს შეუერთდეს მორატორიუმს, უარი თქვას კოსმოსის მილიტარიზაციის საშიშ გეგმებზე. კომენტარებში აღნიშნულია: ახალი საბჭოთა წინადადებანი მოწმობს, რომ სსრ კავშირი ისწრაფვის მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საერთაშორისო ვითარების ძირეულ გაუმჯობესებას, ბირთვული კატასტროფის საფრთხისაგან კაცობრობის ხსნას.**

ყოვლისმომცველი საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები უპირველესად როგორც თავისი მასშტაბით, ისე შინაარსითაც, აღნიშნულია **მშვიდობის მსოფლიო საბჭოს** განცხადებაში. სსრ კავშირის წინადადებანი ახალ პერსპექტივებს სახავს იმისათვის, რომ ახდეს კაცობრიობის საყოველთაო ოცნება — ჭქონდეს ბირთვული განადგურების საფრთხისაგან თავისუფალი მსოფლიო, საშუალებას იძლევა შეიქმნას საერთაშორისო კლიმატი, რომლის დროსაც იმპერიალიზმის მიერ თავს მოხვეული პრინციპს — შეიარაღება განვითარების მაგივრად — უნდა შეეცვალოს საპირისპირო პრინციპი — განიარაღება განვითარებისათვის. საბჭოთა ინიციატივები მიმართულია მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი. ისინი გამოხატავენ ყველაზე გადაუდებელ მოთხოვნებს, რომლებსაც მრავალი წლის მანძილზე აყენებდა ომის საწინააღმდეგო, მშვიდობის მოძრაობების მილიონობით მონაწილე, მიუმხრობლობის მოძრაობა, მსოფლიოს მთავრობების დიდი უმრავლესობა. მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის ძალებს მჭიდროდ შეაკავშირონ თავიანთი რიგები, იბრძოლონ იმისათვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ბირთვული სახელმწიფოების მთავრობები დადებითად გამოეხმაურონ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს და ერთობლივი ნაბიჯი გადადგან იმ საშიში ტენდენციის ლიკვიდაციის გზაზე, როცა გამალებული შეიარაღება ვითარდება მეტად, ვიდრე მოლაპარაკებისა და განიარაღების პროცესი.

მიუმხრობლობის მოძრაობის თავმჯდომარემ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა **რ. განდიმ** თქვა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადება მეტად შთამბეჭდავია. ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით მას და ვიმედოვნებთ, რომ ამ წინადადებებზე მეორე მხარის პასუხი ასეთივე პოზიტიური იქნება. საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული პროგრამა კოსმოსში ბირთვული შეიარაღების აღტერნატივაა. ეს დოკუმენტი გვიჩვენებს ბირთვული იარაღისაგან მსოფლიოს განთავისუფლების გზას.

დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა ხელმძღვანელის განცხადებამ პლანეტის მშვიდობიანი მომავლის დაცვისთვის მებრძოლ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ვარშავის კონგრესის მონაწილეთა შორის. როგორც პოლონური **„ტრიბუნა ლუდუ“** აღნიშნავს, ამ ისტორიულ დოკუმენტში ჩამოყალიბებული ინიციატივები, აგრეთვე კონგრესის მონაწილეებისადმი მისალმებაში მ. ს. გორბაჩოვის მიერ გამოთქმული რწმენა, რომ ადამიანის ინტელექტუალური პოტენციალი უნდა ემსახურებოდეს მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა გამრავლებას, და არა გლობალური განადგურების ახალ საზრუნავთა მომაკვდინებელი იარაღის შექმნას, ნამდვილად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის გააქტიურების ახალი მძლავრი სტიმული გახდება. „სსრ კავშირის მიერ წამოყენებული განიარაღების შორსმჭვრეტელური და კონსტრუქციული პროგრამა, — წერს გაზეთი, — გამოხატავს საბჭოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკის მშვიდობიანი და ჰუმანური არსის ორგანულ ერთიანობას. კეთილი ნების ადამიანებს ახალი საბჭოთა წინადადებანი მიაჩნიათ იმის დადასტურებად, რომ სოციალიზმი — ეს არის მშვიდობა, ხალხთა მეგობრობა, ჰუმანიზმის უმაღლესი იდეალებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამოხატულება“.

„მესამე ათასწლეულში ბირთვული იარაღის გარეშე“, „მოსკოვის ისტორიული ინიციატივები“, „საბჭოთა კავშირის მტკიცე მშვიდობის პროგრამა“, „განიარაღებისა და მშვიდობის რეალური გზა“ — ამ სათაურებით გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები. „მ. ს. გორბაჩოვის განცხადება საეტაპო დოკუმენტია მტკიცე და საყოველთაო მშვიდობისათვის ლენინური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლაში, — აღნიშნავს **„ნოიეს დოიჩლანდი“**. — საბჭოთა კავშირს მთავრობებისა და ხალხების განსახილველად გამოაქვს 2000 წლისათვის ბირთვული იარაღის სრული და საყოველთაო ლიკვიდაციის, თვითგანადგურების საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის, დედამიწელთა ახლანდელი და მომავალი თაობების საამედო უშიშროების უზრუნველყოფის მთამბეჭდავი პროგრამა. საჭიროა საერთაშორისო ასპარეზზე უკეთესობისაკენ შემობრუნება. ამას მოელიან, ამას მოითხოვენ მთელი მსოფლიოს ხალხები. სწორედ ამიტომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება მთელი რიგი დიდი, პრინციპული ხასიათის საგარეო-პოლიტიკური აქციების შესახებ, რომლებსაც უკვე სავსებით უჭერენ მხარს პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები“.

მსოფლიო საზოგადოებრიობამ უდიდესი კმაყოფილების გრძნობით აღიქვა მოსკოვიდან მოსული კარგი ამბავი, რომ საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამა, განაცხადა მონღოლეთის მშვიდობისა და მეგობრობის ორგანიზაციათა ფედერაციის აღმასკომის თავჯდომარემ **ნიამინ ლუვსანჩულტემმა.** გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა ბირთვული სახელმწიფოები ყურად იღებენ გონიერების ხმას და შეუერთდებიან ამ ისტორიულ ნაბიჯს უიარაღო მსოფლიოს მიმართულებით. სსრ კავშირის ახალი, უდიდესი მნიშვნელობის ინიციატივა სავსებით შეესატყვისება კაცობრიობის მისწრაფებებს.

საბჭოთა ინიციატივები კვლავ არის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრში. იუწყებიან, რომ პრეზიდენტმა რეიგანმა, რომელმაც ჟურნალისტთა თხოვნით „განმარტა მ. ს. გორბაჩოვის განცხადება, თქვა: „ეს პრაქტიკულად პირველად მოხდა, როცა შემოგვთავაზეს ბირთვული იარაღის ნამდვილი ლიკვიდაცია“. სი-ბი-ესის ტელეკომპანია ქენევიდან გადმოცემულ რეპორტაჟში აღნიშნავს: „მოსკოვის ინიციატივები ქენევის მოლაპარაკების ახალი რაუნდის ყურადღების ცენტრშია. მომსინჯა რა ახალი საბჭოთა წინადადების დაწვრილებითი შინაარსი, ქენევის მოლაპარაკებაზე წარგზავნილი ამერიკის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ ისინი ერთად განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენენ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადება, რომელიც სამშვიდობოა ინიციატივების მთელ კომპლექსს შეიცავს, პოზიტიურია და უდიდეს ინტერესს იწვევს, განაცხადა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ვაშინგტონის მშვიდობის ცენტრის ეროვნულმა კოორდინატორმა **დევიდ ჰესტეტერმა.** ეს დოკუმენტი სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. სწორედ გამალებული შეიარაღების ალაგმვის ღონისძიებებით არიან დაინტერესებული მშვიდობისათვის მებრძოლი ამერიკელები და სხვა ქვეყნების მცხოვრებლები.

ინგლისური **„ტაიმსი“**, რომელიც განმარტავს ოფიციალური ვაშინგტონის რეაქციას საბჭოთა წინადადების მიმართ, წერს: „ფრთხილ და გულდასმით შეფუშეებულ განცხადებაში პრეზიდენტი რეიგანი მიესალმა ბირთვული იარაღის ეტაპობრივი ლიკვიდაციის საბჭოთა გეგმას და თქვა, რომ დაწვრილებით განიხილავს მას ნატოელ მოკავშირეებთან ერთად. ასეთი რეაქცია გამოხატავს ამერიკის ადმინისტრაციის მისწრაფებას თავის ქვეყანაში და საზღვარგარეთ შექმნას წარმოდგენა სსრ კავშირის ინიციატივებზე პასუხის პოზიტიური ხასიათის შესახებ. გაზეთი აღიარებს, რომ, როგორც ვაშინგტონში, ისე ლონდონში „უკმაყოფილოდ“ აღიქვეს სსრ კავშირის განცხადება ბირთვული გამოცდის ცალმხრივი მორატორიუმის გახანგრძლივების შესახებ. რადგან ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი განაგრძობენ ბირთვული ქობინების ახალი „სრულყოფილი“ ვარიანტების შემუშავებას. როგორც „ტაიმსი“ ადასტურებს, ვაშინგტონს განზრახული აქვს განაგრძოს თავისი სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის განხორციელებაც, რაც პრაქტიკულად აფერხებს ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის საბჭოთა გეგმის რეალიზაციას.

„ახალი საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც მიხეილ გორბაჩოვმა გამოიჩინა, — წერს **„ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“** არსებითად სასინჯი ქვაა ვაშინგტონისათვის. თუ შეერთებული შტატები ნამდვილად ესწრაფვის ბირთვული იარაღის სრულ განადგურებას, მას ამისათვის ახლა მშვენიერი შესაძლებლობა აქვს: სსრ კავშირის ახალი წინადადებანი.“

(საქდესი).

● ფინეთი

მარად ხალხის ხსოვნაში

ტამპერე. აქ გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის პირველი მუზეუმის გახსნის 40 წლისთავს. იგი გაიხსნა იმ შენობაში, სადაც 1905 წელს ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გაიმართა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიული კონფერენცია. კრებაში მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ წარმომადგენლები, მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ვეტერანები.

მიეძღვნა ვ. ი. ლენინის მუზეუმის 40 წლისთავს

შეკრებილნი მჭეხარე ტაშით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ ფინეთის საზოგადოებრიობისათვის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობის საქმეში შეტანილი წვლილისა და დაარსებიდან 40 წლისთავთან დაკავშირებით მუზეუმი დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

კრებაზე აჩვენეს მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი „ფინეთი პატივს სცემს ლენინის ხსოვნას“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

ფინეთის მთავრობის სახელით დამსწრეთ მიესალმა განათლების მინისტრი კ. სუონიო. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი როლი შეასრულა ვლადიმერ ილიას ძემ ფინეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში. ლენინის იდეები აქტუალურია ჩვენს დღეებშიც, თქვა მინისტრმა. ძალზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლენინური პრინციპები დღესაც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს.

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

ორი მძლავრი აფეთქება

პარარე. როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან იუწყებიან, ორი მძლავრი აფეთქება მოხდა დურბანის გარეუბნის ტრანსფორმატორის ქვესადგურში. როგორც პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, მსხვერპლი არ არის. მისი თქმით, ქვესადგურის აგრეგატებში ჩატანებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობანი. როგორც ცნობილია, მანამდე დურბანის რაიონში სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის სამხედრო ფრთის — „უმკონტო ვე სიზვეს“ პატრიოტებმა საბრძოლო აქციების სერია მოაწყვეს მთავრობის დაწესებულებების, სამხედრო პოლიციური ობიექტების წინააღმდეგ.

● ინგლისი

ურთიერთგაგების, მეგობრობის განსამტკიცებლად

დამთავრდა მესამე საერთაშორისო კონფერენცია „ქალაქი და მშვიდობა“

შეფილდი. აქ დამთავრდა მესამე საერთაშორისო კონფერენცია „ქალაქი და მშვიდობა“. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ 28 ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ შორის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების „კავშირისა და საბჭოთა და საზღვარგარეთის ქალაქების „კავშირურთიერთობის ასოციაციის დელეგაცია საზღვარგარეთის „ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების „კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ე. ა. სარქისოვის მეთაურობით.

კონფერენციის მონაწილეებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება, რომელშიც ჩამოყალიბებულია ახალი საბჭოთა წინადადებანი ბირთვული განიარაღების შესახებ. სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ამ სამშვიდობო ინიციატივების განხორციელება შექმნის საერთაშორისო ზეშიზრეების განმტკიცების, სამხედრო მრეწველობის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანის რეალურ შესაძლებლობას. ინდოეთისა და ესპანეთის, კენიისა და გაბონის, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შედეგად გამოთავისუფლებული სახსრები შეიძლება მოხმარდეს შიმშილის, სიღატაკის, უწიგნურობის წინააღმდეგ ბრძოლას და ამ საჭირბოროტო პრობლემების აღმოფხვრას.

ფორუმის საბოლოო რეზოლუციაში ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საკითხთან სხვადასხვა სახელმწიფოს საქალაქო და მუნიციპალური საბჭოების მუშაობის გააქტიურებას. დოკუმენტში გამოთქმულია რწმენა, რომ ეს მუშაობა ხელს შეუწყობს მილიტარისტული ძალების ალაგმვას, შეიარაღებისადმი „კონტროლის საკითხებზე აღმოსავლეთ-დასავლეთის კონსტრუქციული დიალოგის მოგვარებას.

ლონდონი. „პირადად და ჩემი მშობლიური შოტლანდიური ქალაქის კილმარნოკის მცხოვრებთა სახელით გთხოვთ, მხურვალედ მიესალმოთ და ყოველივე საუკეთესო უსურვოთ ჩვენთან დამოყვრებული საბჭოთა ქალაქის — სოხუმის ხელმძღვანელებსა და მოსახლეობას“. — ეს სთხოვა საუბრის დროს საკდესის კორესპონდენტს კილმარნოკის მუნიციპალური საბჭოს წევრმა თომას ფერგიუსონმა.

მესამე საერთაშორისო კონფერენციის „ქალაქი და მშვიდობის“ — ტრიბუნიდან, მის დელეგატებთან საუბრისას სიამაყით გამოავცხადე ჩვენი ქალაქებისათვის ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, თქვა შემდეგ მან. „კილმარნოკისა და სოხუმის მეგობრობა და ძმობა უთუოდ გაღორძგავებს მთლიანად დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურთიერთგაგებას, საშუალებას მოგვცემს, უკეთ გავიცნოთ სსრ კავშირის დიდი კულტურა და მეცნიერება, უფრო საფუძვლიანად გავიგოთ რიგითი საბჭოთა მშრომელების იმედები და მისწრაფებანი. გამოვთქვამ გულწრფელ იმედს, რომ ეს მეგობრობა სასიკეთო გავლენას მოახდენს საბჭოთა კავშირისადმი ოფიციალური ლონდონის დამოკიდებულებაზეც, განაცხადა თ. ფერგიუსონმა.

● ლესოტო

სამხედრო გადატრიალება

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტო მასერუდან იუწყება, ლესოტოს სამეფოში სამხედრო გადატრიალება მოხდა. იმოწმებს რა ადგილობრივ რადიოს, სააგენტო აღნიშნავს, რომ ქვეყანაში ძალაუფლება ხელთ იგდო შეერაღებული ძალების სარდალმა გენერალმა ჯასთან ლეჭანიამ.

პრემიერ-მინისტრ ლეაბუა ჯონათანის მთავრობა დაამხეს. დედაქალაქში სიმშვიდეა.

...ველა ...ვანტიურა

ბეირუთი. აქ მოსული ცნობების თანახმად, ისრაელის სარდლობამ ბექაას ველის სამხრეთ ნაწილში გაგზავნა დიდძალი საბრძოლო ტექნიკა და იგი მარიონეტულ „სამხრეთ ლიბანის არმიას“ გადასცა. ათობით ტანკმა და ჯავშანტრანსპორტიორმა დაიკავა პოზიციები ლიბანის ოკუპირებულ ტერიტორიაზე თელ-ავივის მიერ შექმნილი ეგრეთ წოდებული „უშიშროების ზონის“ საზღვრის გასწვრივ. გაზეთი „ას-საფირი“ ამ სამზადისს ახალი სამხედრო ავანტიურისათვის მზადების სახიფათო ნიშნად მიიჩნევს.

ლიბანის წინააღმდეგობის პატრიოტული ფრონტის მებრძოლები კვლავ აყენებენ დარტყმებს დამპყრობლებს. გასული დღე-ღამის განმავლობაში მათ იერიში მიიტანეს ისრაელის პოზიციებზე მარჯაიუნისა და ნაბათიის რაიონებში. ოკუპანტებმა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ზარალი განიცადეს.

...ველოდეს ...ტუმრეს ...ველოდან

...ორტუგალიური ანდაზა ამბობს: „...ვარანი, რომელიც წინ არის, ორ... ...ზე უფრო ანათებს“. სწორედ ...ეს ფარანს შეგვიძლია შევადა... ...ოთ საბჭოთა ლიდერის მიხეილ ...ორბაჩოვის განცხადება, რადგან ...ი გაცისკროვნებულია კაცობრი... ...ების მომავლისათვის ზრუნვით“, — განაცხადა „პორტუგალია-სსრ ...ავშირის“ საზოგადოების გენერა... ...ურმა მდივანმა ლუშ დუშ სა... ...ტუშმა. იგი იმყოფება თბილისში ...ორტუგალიაში სსრ კავშირის ...დელეგაციასთან დაკავშირებით, რომ... ...ლიც მიმდინარე წლის შემოდგო... ...ზე მოეწყობა საქართველოს სს ...ესპუბლიკის მაგალითით.

„ეს არის უდიდესი, მე ვიტყოდი, ...ისტორიული მნიშვნელობის დო... ...უმენტი, — თქვა შემდეგ ლუშ ...დუშ სანტუშმა. — მასში მოცე... ...ულია ბირთვული იარაღისგან ...ვენი პლანეტის განთავისუფლე... ...ის კონკრეტული, რეალისტური ...პროგრამა. ამ განცხადებაში ჩამო... ...ყალიბებული ახალი სამშვიდობო ...ინიციატივები მშვენიერი საფუძ... ...ველია კაცობრიობისათვის ყველა ...საჭირბოროტო პრობლემაზე მო... ...რიგებათა მისაღწევად.

ეს დოკუმენტი, რომელიც განა... ...დგურების ყველა სახეობის იარა... ...ღის წინააღმდეგ ბრძოლის პრო... ...გრამაა, დარწმუნებული ვარ, თვი... ...თონ გახდება მძლავრი იარაღი ...პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძა... ...ლების ხელში. ამას დიდი მნიშვნე... ...ლობა აქვს საზოგადოებრივი ორ... ...განიზაციების წარმომადგენლები... ...თვისაც, რომელთა მისია — ხა... ...ლხთა შორის მეგობრობის განმ... ...ტკიცება — წარმოუდგენელია სა... ...ყოველთაო მშვიდობის მიუღწევ... ...ლად.

თბილისში მეგობრობის გზამ ჩამოგვიყვანა. პორტუგალიელები გულწრფელი სიმპათიით ეკიდე... ...ბიან ქართველ ხალხს. ჩვენს ქვე... ...ყანაში უცალელად დდ ინტერესს ...იწვევს სსრ კავშირის ტრადიცი... ...ული დღეები, რომლებიც წარმო... ...ადგენს საბჭოთა კავშირის ცხო... ...ვრების, ამ ქვეყანაში მცხოვრები ...ხალხების აყვავების, ეკონომიკის, ...მეცნიერების, კულტურისა და გა... ...ნათლების სხვადასხვა დარგში მა... ...თი მიღწევების ფართო პანორა... ...მას.

ჩემს თანამემამულეებს ახსოვთ პორტუგალიაში საქართველოს დღეები, 1981 წელს. ათასობით პორტუგალიელი გაეცნო მაშინ საქართველოს მკაფიო და ცხოველსაყოფელ ხელოვნებას. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ფოლკლორული ანსამბლების გამოსვლამ. ჩვენ გავეცანით რესპუბლიკას, რომელმაც რევოლუციის შემდგომ წლებში ჭეშმარიტად უდიდესი ნახტომი მოახდინა მეფის რუსეთის განაპირა მხარიდან აყვავებულ რესპუბლიკამდე, სადაც ადამიანთა შრომა თავისუფალი და სასიხარულოა, სადაც ადამიანებს სწამთ მომავალი. სსრ კავშირში ცხოვრების სიმართლის ამსახველს ვეწყოდები მე ამგვარ შეხვედრებს. დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხომ ამახინჯებენ თქვენი ქვეყნის ცხოვრების წესს, მცდარად განმარტავენ სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის არსს.

დიდი მოუთმენლობით ველით ახალ შეხვედრას ქართულ კულტურასთან შემოდგომაზე, მომდინარე წელს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის წლად გამოაცხადა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს დღეები გახდება პორტუგალიელი და ქართველი ხალხების მეგობრობის დღესასწაული, თავის როლს შეასრულებს მათი მეგობრობისა და თანამშრომლობის საქმეში. მთავარი, რაც გვაერთიანებს, დარწმუნებული ვარ, არის არა სამხრეთული ტემპერამენტი და ერთგულება ფეხბურთისადმი, არამედ ჩვენთვის საერთო იმედი, რომ ჩვენი ბავშვების მომავალს არასდროს არ დაეშუქრება ომი“, — თქვა დასასრულ ლუშ დუშ სანტუშმა.

მ. რონდელი,
საქინფორმის კორ.

● ფინეთი

მარად ხალხის ხსოვნაში

ტამპერე. აქ გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის პირველი მუზეუმის გახსნის 40 წლისთავს. იგი გაიხსნა იმ შენობაში, სადაც 1905 წელს ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გაიმართა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიული კონფერენცია. კრებაში მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ წარმომადგენლები, მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ვეტერანები.

მიეძღვნა ვ. ი. ლენინის მუზეუმის 40 წლისთავს

შეკრებილნი მჭეხარე ტაშით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ ფინეთის საზოგადოებრიობისათვის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობის საქმეში შეტანილი წვლილისა და დაარსებიდან 40 წლისთავთან დაკავშირებით მუზეუმი დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

კრებაზე აჩვენეს მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი „ფინეთი პატივს სცემს ლენინის ხსოვნას“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

ფინეთის მთავრობის სახელით დამსწრეთ მიესალმა განათლების მინისტრი კ. სუონიო. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი როლი შეასრულა ვლადიმერ ილიას ძემ ფინეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში. ლენინის იდეები აქტუალურია ჩვენს დღეებშიც, თქვა მინისტრმა. ძალზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლენინური პრინციპები დღესაც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს.

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

ორი მძლავრი აფეთქება

პარარე. როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან იუწყებიან, ორი მძლავრი აფეთქება მოხდა დურბანის გარეუბნის ტრანსფორმატორის ქვესადგურში. როგორც პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, მსხვერპლი არ არის. მისი თქმით, ქვესადგურის აგრეგატებში ჩატანებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობანი. როგორც ცნობილია, მანამდე დურბანის რაიონში სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის სამხედრო ფრთის — „უმკონტო ვე სიზვეს“ პატრიოტებმა საბრძოლო აქციების სერია მოაწყვეს მთავრობის დაწესებულებების, სამხედრო პოლიციური ობიექტების წინააღმდეგ.

ფოტოინფორმაცია

რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად

● ნიკარაგუა

ძნელი **დღეები უდგას ახლა რევოლუციურ ნიკარაგუას. კვლავ გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და ეკონომიკური აგრესია ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ. მაგრამ ნიკარაგუელ ხალხს უნდა ძალმომრეობის გზით ვერ დააჩოქებენ, რესპუბლიკის ყველა მცხოვრები დიდიან-პატარიანად სამშობლოს დასაცავად ადგა.**

სურათზე: სამშობლოს ნორჩი დამცველები.

საქდესის ფოტო.

● ავღანეთი

მონაწილეობს ქვეყანა სოციალური ჯგუფი

აირჩიეს რევოლუციური საბჭოს პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა

ქაბული. აქ გაიმართა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზეც განხილულ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს რიცხობრივი შემადგენლობის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ბ. ქარმალი. მან თქვა, რომ აპრილის რევოლუციას სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს მოსახლეობის უფართოესი ფენები. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები უდიდეს დაინტერესებას იჩენენ რევოლუციის სოციალური ბაზის გაფართოების საკითხებით.

ამასთან დაკავშირებით ბ.

ხალხური სიმღერის მადლი

პირველი ქართული ეთნოგრაფიული გუნდის 100 წლისთავის გამო

საყოველთაოდ ცნობილია ხალხური სიმღერის უდიდესი მნიშვნელობა მუსიკალური კულტურის ყოველმხრივი შესწავლისათვის, მისი თვითმყოფი ბუნების გაგებისა და ახსნისათვის, ცნობილია ამასთანავე, რომ ხალხური სიმღერა პროფესიული მუსიკის გამდიდრებისა და განვითარების ბუნებრივ საფუძველსა და დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, მშობლიური კულტურის ამ ძვირფას საგანძურს საქართველოში გვიან მიაქციეს ყურადღება. ისტორიული ვითარების შედეგად მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ქართული სასიმღერო ფოლკლორი კარგა ხანს სათანადო გამოხმაურებას მოკლებული იყო. ქართული ხელოვნების ამ უძვირფასეს საუნჯეს ყველა მისი ანონიმური ავტორი — ხალხი პატრონობდა, უფრთხილდებოდა, აფიცარებდა. სჯეროდა, დადგებოდა დრო და ხალხური სიმღერა მფელი ხმით აყოერდებოდა.

ეს დროც დადგა. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ხალხურმა შემოქმედებამ, კერძოდ, მუსიკალურმა ფოლკლორმა თანდათანობით მიიპყრო მოწინავე საზოგადოებრიობის ყურადღება. ეს განაპირობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის მძლავრმა განვითარებამ, რამაც ქართული საზოგადოებრივი აზრი ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. ახალმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ ხელი შეუწყო ქართველი ხალხის სულიერ პროგრესს. ამავე პერიოდში გამოჩნდნენ აგრეთვე ქართული მუსიკის გულშემატკივარნი, რომელნიც პრესის საშუალებით მოუწოდებდნენ საზოგადოებას „გამოფხიზლებას საღათას ძილისაგან“ და ყურადღების გამახვილებას ხალხური სასიმღერო შემოქმედებისადმი, თანდათან რომ მივიწყებას ეძლეოდა. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გუნდების შედგენას და ქართული მუსიკის საღამო-კონცერტების მეშვეობით მის აღდგენა-გავრცელებას. ამ პერიოდს ეკუთვნის მშობლიური კულტურის ენთუზიასტის ლადო აღნიშვილის მიერ გადადგმული. მეტად გაბედული ნაბიჯი. იმხანად, როდესაც ილია ჭავჭავაძის თქმით „კადნიერად უარყოფდნენ მუსიკას ჩვენის სიმღერებისას და ამბობდნენ, რაღაც ველურის, ნადირ-კაცის ბღავლია და არა იგი მწყობრი ხმა — ტკბილი გალობა, რომელიც კაცს ესაამოვნებაო“, მან მრავალი დაბრკოლების გადალახვა შეძლო და 1885 წელს პირველი და ფრიად შედეგიანი ქართული ეთნოგრაფიული გუნდი შეადგინა, რომელსაც „ქართული ხორო“ უწოდა.

ამ გუნდის შედგენასა და მის შემდგომ მუშაობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ჩეხ მუსიკოსს, იმჟამად თბილისის სახაზინო ოპერის თეატრში მოწვეულ პრემიერს (ტენორს) იოზეფ რატილს, რომელმაც ქართული ხალხური სიმღერებით მოჯადოებულმა, ცოტა ხანში თავისი კარიერა დათმო და მხარში ამოუდგა ლადო აღნიაშვილს გუნდის შედგენაში, ხოლო შემდეგ, როგორც ლოტბარი, თვითონვე ხელმძღვანელობდა.

ირკვევა, რომ გუნდის რეპერტუარი ხოტეზზე ყოფილა გადატანილი, რომლის საშუალებითაც სიმღერები ისწავლებოდა. ამ სასიქადული საქმეს დიდად უწყობდნენ ხელს ლადო აღნიაშვილის თანამედროვე მუსიკოსები — მელ. ბალანჩივაძე, ანდ. ბენაშვილი, ი. კარგარეთელი, ფალ. ქორიძე, ივ. სარაჯიშვილი (პირველი ქართველი ვირტუოზი ვიოლონჩელისტი), ზაქ. ჩხიკვაძე და თვითონ რატილი. არსებობს ცალკე რატილის მიერ დაწერილი სიმღერების კრებული (ინახება საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლში) და ცალკე გუნდის მთელი რეპერტუარის კრებული ხელნაწერის სახით (ინახება ზ. ჩხიკვაძის არქივში).

ფრიად საყურადღებოა ამ კრებულის ყდაზე წანაწერი, რომელიც ლაკონიურად გვაუწყებს ლადო აღნიაშვილის ღვაწლს „ქართული ხოროს“ შედგენისათვის გაწეულს.

ლადო აღნიაშვილის ნოტები

რაც ამ რვეულში და ამასთანავე წარმოდგენილ სხვა რჩეულებში ქართული ხმებია მოთავსებული ლადოს. შეუკრებია ასე: სოფლებიდამ თავის ხარჯით ჩამომყავდა მომღერლები, აქ თვეობით ინახავდა მათ, დღიურ ჯამაგირსაც უნიშნავდა. ამ დროსვე იწვევდა საკმაოდ ცნობილ მემუსიკეთ და ამ უკანასკნელთ აწერინებდა პირველების სიმღერებს.

წლების მანძილზე ასეთი თავგანწირული, დაუღალავი მუშაობა დასჭირდა ამ საისტორიო „ქართული ხოროს“ შედგენას, შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობის მოწვევას, ოთახის შოვნას მეცადინეობისათვის, რომელიც იმართებოდა ჯერ რატილის ბინაზე ჩუღურეთში (ამჟამად ღრმაღელე, ლიახვის ქუჩა № 16, სადაც მისი შთამომავლობა დღესაც ცხოვრობს), შემდეგ ზაქ. ჩხიკვაძის ცნობით, ორბელიანების უბანში შავთელის ქ. № 17-ის II სართულის განაპირა მარჯვენა ოთახში (ამ სახლს მემორიალური დაფა დაშენდებოდა!).

მეცადინეობის დამთავრებისთანავე ნანატრი ქართული ხალხური სიმღერის კონცერტი გაიმართა 1886 წლის დეკემბრის ბოლოს. ამგვარად, მასზე დახარჯულ დროსა და შრომას უქმად არ ჩაუვლია, ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების ნაყოფიერმა საღამო-კონცერტებმა ქართული მუსიკის ისტორიაში გადატრიალება მოახდინა — მყარი საფუძველი ჩაუყარა მივიწყების გზაზე დამდგარი მრავალსაუკუნოვანი ხალხური სიმღერის აღორძინებას, მის შემდგომ განვითარებას.

ქართული ხალხური გუნდის პირველი კონცერტის შესახებ ორი დღით ადრე აცნობა გაზეთმა „ივერიამ“ საზოგადოებრიობას, გამოაქვეყნა მისი ფრიად თავისებური შინაარსის პროგრამა (თავისებური იქ მხრივ, რომ წწარმოდგენილი იყო არა მარტო ქართული ანდა საქართველოს მარტოოდენ ერთი კუთხის სასიმღერო შემოქმედება, აუდიტორია იმ საისტორიო საღამოს გაეცნო ევროპელ საგუნდო სიმღერებსაც). დაიბეჭდა ილიას მეთაური წერილიც: ...„ის მუსიკის მცოდნე კაცნი, რომელნიც დღეს მიუზიდნია ქართულს სიმღერების საკეთილ და სიტყბობას, ბევრს ღირსებას ჰპოულობენ და ბევრსაც მეცადინეობენ გადაღონ ნოტებზე საყოველთაო საცნობოდ. ამ მხრით თვითონ ჩვენი უმაწვილი კაცებიც ჰპოულობენ და აი ამ შრომის ნაყოფი დიდის სიამოვნებით გავიგონეთ ჩვენის ყურით მაბათს, 15-ს ნოემბერს. ქართულმა ხორომ... ბ-ნ რატილის ლოტბარობით იგალობა თეატრში თერთმეტამდე, სხვათაშორის, ქართული საერო სიმღერები ნოტებზედ გადაღებული. ხალხი საკმაოდ ბევრი დაესწრო და საამოვნებით კი არა, აღტაცებით დაჰხვდა და მიეგება ამ ახალს და სასიამოვნო ამბავს... დიდი მადლობა გვმართებს ბ-ნ აღნიაშვილისა, რომელმაც ეს მარილა სახელოვანი საქმე იკისრა, შეჰყარა ხორო, გაგვიმართა ქართული კონცერტი და დაგვატკბო იმ მიგვიყვებულის ხმებით, რომლითაც მღეროდნენ ჩვენი წინაპარნი და, რომელსაც ისეთის აღტაცებით ისმენდა იმ ღამეს თეატრში შეყრილი საზოგადოება... არა ნაკლებ მადლობის ღირსია ბატონი რატილი ეგ უცხო კაცი, რომელმაც მოამზადა და გასწერთწა იგი ხორო. მადლობელმა საზოგადოებამ იქავ თეატრში მოაგროვა ფული და საჩუქარი მიართვა ბ-ნს რატილს. ძახილს და ტაშის ცემას ბოლო არა ჰქონდა. სასურველია, რომ ამ დიდად სასიამოვნო საქმემ ხშირად გვასიამოვნოს ხოლმე ეს, როგორც შაბათს საღამოს გვასიამოვნა“.

ამ სურვილს შესრულება არ იყო ძნელი, რადგან „ქართული ხოროს“ მთავარ მიზანს ხალხური სიმღერის პროპაგანდა შეადგენდა და „კონცერტი გეგმაზომიერად იმართებოდა ჯერ საქართველოს ფარგლებში, შემდეგ გუნდი ჩრდილო კავკასიასაც ესტუმრა. გუნდის წესდება საზღვარგარეთ გამგზავრებასაც ითვალისწინებდა, მაგრამ, ერთი მხრივ, ეკონომიური პირობებისა და, მეორე მხრივ, გუნდის ფუძემდებლის გარდაცვალების გამო (1904) ვერ მოხერხდა.

ლადო აღნიაშვილი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მისი აქტიური მონაწილეობით 1887 წელს დაარსდა „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. ამავე წელს აღნიაშვილმა „რუსულ-ქართული უბის ლექსიკონი“ შეადგინა. მანვე გამოაქვეყნა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული (1890), რომელიც საფუძვლად დაედო მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილ „ქართულ ხალხურ ზღაპრებს“ (1894). სკოლის გარეშე საკითხვად 1892-1893 წლებში გამოიცა მისი „ახალი ანბანის“ რვა წიგნაკი. აქვე უნდა ითქვას, 1894 წელს მის მოგზაურობაზე სპარსეთში შაჰ-ბასის დროს გადასახლებული ქართველების ცხოვრების შესასწავლად, და 1896 წ. ჟურნალ „მოამბეში“ (№ 2-8), გამოაქვეყნა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ნამრომი „სპარსეთი და იქაური ქართველები“, რომელშიც /გადმოცემულია სპარსელების ყოფა-ცხოვრება, აღწერილია იმდროინდელი ქართველების ზნე-ჩვეულებანი და ეკონომიკურ-კულტურული მდგომარეობა.

დასასრულ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ქართული ხოროს“ კეთილნაყოფიერი გავლენა ერთხანს გუნდში მონაწილე გამოჩენილ სამუსიკო მოღვაწე ივანე და ზაქარია ფალიაშვილებზე და ია კარგარეთელზე, რომელთაგან პირველმა საფუძველი დაუდო საერთაშორისო ხელოვნებას საქართველოში, მეორემ, ქართული ოპერების სასიქადულო ავტორმა, საძირკველი ჩაუდგა ქართულ კლასიკურ მუსიკას. მესამე ცნობილია როგორც კომპოზიტორი, ოპერის მომღერალი, გუნდის სოლისტი და კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძესთან ერთად, ქართული სარომანსო მუსიკის ფუძემდებელი. ამ გუნდშივე იყო გამოჩენილი მსახიობი ნიკო გოცირიძე. ყველა ესენი, ამასთანავე XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ცნობილი სამუსიკო მოღვაწენი, აღნიაშვილის გუნდის მუშაობის აქტიური მონაწილენი ფილიმონ ქორიძე და ზაქარია ჩხიკვაძე 1900-იანი წლებიდან სათავეში ჩაუდგნენ საქართველოს სამუსიკო ცხოვრებას.

აღნიაშვილის დამსახურებაა ისიც, რომ გუნდის კონცერტებმა გზა გაუკაფა ქართული ხალხური სიმღერის დიდოსტატების პირველი პლეადის წარმომადგენლებს — სანდრო და მიხეილ კავსაძეებს, ძუკუ ლოლუას, სამეკო ჩავლეიშვილს, ვარლამ სიმონიშვილს, არტემ ერქომაიშვილს, კირილე პაჭაკორიას, მარო თარხნიშვილს, დედას ლევანას, მიხო ჯიღაურს, ლევან მუღალაშვილს და სხვებს, რომელთაც თავისი გუნდებით დიდი ამაგი დასდეს ქართული ხალხური სიმღერების შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა საქართველოს ამათ დაახვედრეს მშობლიური ხალხური სასიმღერო შემოქმედების მნიშვნელოვანი მარაგი. მის საფუძველზე წარმოიქმნა ქართული საბჭოთა მუსიკალური ფოლკლორი.

ასე დაიწყო ქართული ხალხური სიმღერის განვითარების ახალი ისტორია. მის სათავეს ლადო აღნიაშვილის მიერ 100 წლის წინათ შედგენილ „ქართული ხოროს“ მოღვაწეობაში ვპოულობთ.

გრიგოლ ჩხიკვაძე,
პროფესორი.

ᲒᲐᲗᲝᲕᲓᲐ...

18 იანვარს ზამთარმა თავისი ზნე გამოავლინა. შავი ზღვის გავლით სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიმართულ შედარებით თბილი ჰაერის მასებს მოაყოლა ჩრდილო-დასავლეთიდან ... ცივი ჰაერის მასები. ისინი ზღვიდან შემოიჭრა რესპუბლიკის სუბტროპიკებში. დასავლეთ საქართველოში მკვეთრად გაუარესდა ამინდი. შესამჩნევად იმატა ნალექმა წვიმისა და თოვლის სახით.

18 და 19 იანვარს ღამით დასავლეთ საქართველოში მოოთოვა. ანასეულში, მაგალითად, თოვლის საფარის სიმაღლემ 10 სანტიმეტრს მიაღწია, ტყიბულში — 24, ხულოსა და ოზურგეთში — 26, ლენტეხში — 50 სანტიმეტრს. ბახმაროში 185 სანტიმეტრი თოვლი დადო.

— უამინდობამ განსაკუთრებით იჩინა თავი საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნების კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა მ. არდიამ. — პრაქტიკულად ყველა უღელტეხილი თოვლით დაიფარა. მისმა სიმაღლემ გოდერძის უღელტეხილზე 170 სანტიმეტრს მიაღწია, მამისონზე — დაახლოებით ორ მეტრს, რიკოთზე — 56 სანტიმეტრს, თუმცა ჯვრის უღელტეხილზე თოვლის საფარი 103 სანტიმეტრს არ აღემატება, აქ განსაკუთრებით დიდია საშიშროება — შესაძლებელია ზვავები ჩამოწვეს.

ამ დღეებში დასავლეთ საქართველოში მკვეთრად იკლო ჰაერის ტემპერატურამ — იგი 2-4 გრადუს ყინვამდე დაეცა. გეგეჭკორის რაიონში 5 გრადუსი ყინვაც კი აღინიშნა.

19 იანვარს ღამით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თოვა შეწყდა და — ... ცივი ჰაერის მასების შემოჭრა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. ... ძლიერი ქარი. მაგალითად, უკვე 19 იანვარს დღისით მისმა სიჩქარემ თბილისის აეროპორტის ზონაში წამში 25 მეტრს მიაღწია. ცივი ჰაერის მასების შემოჭრამ აღმოსავლეთ საქართველოშიც გამოიწვია ნალექები, ოღონდ თოვლის სახით. ძალზე დიდი თოვლი დადო კახეთის ზონაში, ყვარელში მისმა სიმაღლემ 45 სანტიმეტრს, გურჯაანში —31, ხოლო თელავში — 28 სანტიმეტრს მიაღწია. ოდნავ ნაკლები მოოთოვა წნორის, ლაგოდეხის, სიღნაღის რაიონებში.

აღმოსავლეთ საქართველოში თოვლმა გაახარა არა მარტო სოფლის მეურნეობის მუშაკები და ჰიდროლოგები (წყალი მეტი იქნება, გაზაფხლზე უკეთ აღმოცენდება საშემოდგომო კულტურები), არამედ სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულნიც. ბაკურიანში, მაგალითად, თოვლის საფარმა 36 სანტიმეტრ სიმაღლეს მიაღწია.

თეთრ სამოსში გაეხვია სამხრეთ საქართველოს ზეგნის მთელი ტერიტორია. აქ თოვლის საფარი 10-დან 30 სანტიმეტრამდე მერყეობს. საშუალოდ, ჯერჯერობით ანგარიშობენ, ოღონდ თოვლის სახით. ძალზე დიდი თოვლი დადო კახეთის ზონაში, ყვარელში მისმა სიმაღლემ 45 სანტიმეტრს, გურჯაანში —31, ხოლო თელავში — 28 სანტიმეტრს მიაღწია. ოდნავ ნაკლები მოოთოვა წნორის, ლაგოდეხის, სიღნაღის რაიონებში.

აღმოსავლეთ საქართველოში თოვლმა გაახარა არა მარტო სოფლის მეურნეობის მუშაკები და ჰიდროლოგები (წყალი მეტი იქნება, გაზაფხლზე უკეთ აღმოცენდება საშემოდგომო კულტურები), არამედ სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულნიც. ბაკურიანში, მაგალითად, თოვლის საფარმა 36 სანტიმეტრ სიმაღლეს მიაღწია.

თეთრ სამოსში გაეხვია სამხრეთ საქართველოს ზეგნის მთელი ტერიტორია. აქ თოვლის საფარი 10-დან 30 სანტიმეტრამდე მერყეობს. საშუალოდ, ჯერჯერობით ანგარიშობენ, ოღონდ თოვლის სახით. ძალზე დიდი თოვლი დადო კახეთის ზონაში, ყვარელში მისმა სიმაღლემ 45 სანტიმეტრს, გურჯაანში —31, ხოლო თელავში — 28 სანტიმეტრს მიაღწია. ოდნავ ნაკლები მოოთოვა წნორის, ლაგოდეხის, სიღნაღის რაიონებში.

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲔᲞᲣᲔᲑᲘᲐᲜ

ზამთარი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდა: რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში დაიწყო სუსხი, თოვა, გრიგალისებრი ქარი. აცივდა სუბტროპიკულ ზონაშიც. ამ დღეებში სოფლის მშრომელთა საზრუნავს გვაცნობენ:

გულრიფშის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ვ. ნაბუტია:

— ჯერ არც ისე დიდი ყინვაა — 3-4 გრადუსი. და მაინც ყოველ ღონეს ვხმარობთ ტემპერატურის მოსალოდნელი დაქვეითების შემთხვევაში ციტრუსების დასაცავად. მაგალითად, 13 ჰექტარ ფართობზე ლიმონის ბაღები გადაიბურა ლიმონის კარკასებით, მოეწყო პლანტაციების ჯგუფური გადაბურვა ფართლით „ციტრუსი“. შეიფუთა 83.560 ძირი მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, მიწა შემოვაყარეთ ასი ათას ძირ ხეს. კარგად არის საქმე ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, ფშაფის საბჭოთა მეურნეობაში, რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში, სხვა მეურნეობებში.

ხორციელდება საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებანი. რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს ორი ათას ტონამდე ციტრუსი. გაშენდა 57 ჰექტარი ახალი პლანტაცია, ძირითადად — ფშაფის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ზუგდიდის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე მ. დემურია:

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებში გატანილია საჭირო რაოდენობის ავტოსაბურავები, საკვამლე კოჭები, სხვა მასალა ციტრუსის ნარგავების გარშემო ჰაერის თბილი ნაკადის შესაქმნელად. მეურნეობებს გადაეცათ ორასი ათას კვადრატულ მეტრზე მეტი უქმესი ფართალი „ციტრუსს“.

ჩაის პლანტაციებში მთავრდება ბუჩქების მძიმე სხვლა: იგი შესრულდა ას ჰექტარზე მეტ ფართობზე. მრავალწლოვანი კულტურების 5827 ჰექტარიდან 4800 ჰექტარზე შეტანილია მინერალური სასუქები.

პარტიის კასპის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ა. ღვინიაშვილი:

— ტემპერატურა ექვს გრადუსამდე დაეცა. ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ზუსტად გრაფიკის მიხედვით წარმოებს. დაიწყო ბაღების მწკრივთშორისების ბარვა, მომდინარეობს ხეხილის სხვლა. უკვე შესრულებულია ამ სამუშაოთა 50 პროცენტი. ყველა ფერმასთან მისასვლელი გზა გაწმენდილია, რიტმულად ხდება ფერმებში საკვების მიტანა: შექმნილია პირობები, რომ ხორცისა და კვერცხის დამზადების იანვრის გეგმა შესრულდეს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების კვარტალური გეგმა — სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის. შარშანდელთან შედარებით სწრაფი ტემპით წარმოებს თესლის შენახვა: საგაზაფხულო ხორბლის 245 ცენტნერი თესლის ნაცვლად უკვე მომზადებულია 607 ცენტნერი, რომელთაგან 600 ცენტნერი პირველი კლასისაა. (საქინფორმი).

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ᲡᲐᲥᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ფეხბურთი. ლენინგრადში დამთავრდა ვ. გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ბოლო ტურში გფრ-ის გუნდს მოუგო შეხვედრა ანგარიშით 3:1 და ეულათა მაქსიმუმით (10) პირველ ადგილს დაეუფლა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: გფრ (7 ქულა), სფრანგეთი (7), სსრ კავშირი II (4), ბელგია (2), აშშ (0).

ჰაბრარაკი. მინსკსა და ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში გრძელდება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები. მინსკში, სადაც რ. ეაჰანანი და ფ. სოკოლოვი თამაშობენ, მეოთხე პარტია სოკოლოვის მოგებით დასრულდა, მეხუთე ჯერ გადაადგა, შემდეგ კი მეტოქენი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ჯერჯერობით ანგარიშია 4:1 სოკოლოვის სასარგებლოდ. ტილბურგში მიმდინარე მატჩის მეორე პარტიაში ა. იუსუპოვი და ი. ტომანი დაზოგდნენ. ამ ჯერ ოფიციალურებელია ტომანი— 1,5:0,5.

ხელბურთი. დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში დამთავრდა ვაფთა გუნდებს შორის ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „ბალტიკის თასზე“. ამ ჯერ-ღოს დაეუფლა გდრ-ის ნაკრები (8 ქულა). საბჭოთა ხელბურთელები 7 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

ციბურაობით რბენა. დავოსში (შვეიცარია) მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაზე ალმა-ათელმა ვ. შაშერინმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 3000 მეტრზე რბენაში — 4.03,22. შაშერინმა ა. ჰოფმანის (გდრ) ერთი წლის წინანდელი რეკორდი 0,09 წამით გაუმჯობესა.

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ

25 იანვარს 16 საათზე თბილისის ჭადრაკის სასახლის საქტო დარბაზში შედგება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ: საერთაშორისო დიდოსტატი **მარკ ტაიმანოვი** (თემაზე: „საჭადრაკო პარტიის სტრატეგიული გეგმა“) და საერთაშორისო ოსტატი **ელიზბარ უბილავა** (თემაზე: „ლაზიერის გამბიტი“).

26 იანვარს 11 საათზე სემინარულ მეცადინეობას ჩაატარებენ: **მარკ ტაიმანოვი,** მეგრონელთა ფაკულტეტზე — სპორტის ოსტატი **თამაზ კიკალეიშვილი** და რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი **შოთა ინწკირველი,** ორგანიზატორების ფაკულტეტზე — საერთაშორისო არბიტრი **ევგენი მელიქსეთბეგი** და საკავშირო კატეგორიის მსაჯი **რაფაელ მეხტიევი.**

რედაქტორი
გ. ᲒᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲠᲔᲐᲜᲘᲛᲐᲢᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲔᲡᲗᲔᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

რეანიმატოლოგიისა და ანესთეზიოლოგიის სახელმძღვანელოს საჭიროება სტუდენტთა და ექიმთათვის დასახელებული დარგების ჩამოყალიბებისთანავე შეიქმნა. აღნიშნულ დისციპლინებს ისტორია არა აქვს და ამრიგად სახელმძღვანელოც ჯერ არ გვქონია.

თანამედროვე მედიცინის განვითარებამ განაპირობა ახალი დარგების — ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის ჩამოყალიბება ორ დამოუკიდებელ დისციპლინად, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვთ მედიცინის ყველა დარგთან. რეანიმატოლოგია კლინიკური მედიცინისა და სასწრაფო დახმარების სამსახურის მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც შეისწავლის ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების ჩაქრობისა და აღდგენის კანონზომიერებებს. ანესთეზიოლოგია კი გაუტკივარებასთან ერთად ანხორციელებს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების დაცვასა და რეგულაციის ნარკოზისა და ოპერაციის დროს.

უკანასკნელ პერიოდში ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა. ათი წლის წინათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში დაარსდა რეანიმატოლოგიისა და ანესთეზიოლოგიის კათედრა. ამ კათედრამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია როგორც პრაქტიკული, ისე მეცნიერული კვლევის დარგში.

ცხადია სტუდენტთა და ექიმთათვის რეანიმატოლოგიისა და ანესთეზიოლოგიის სახელმძღვანელო უნდა შეედგინა იმის, ვისაც დასახელებული დარგების თეორიის საფუძვლიანი ცოდნა და დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს.

ისეთ ავტორთა კოლექტივად სამართლიანად ითვლებიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რეანიმატოლოგიისა და ანესთეზიოლოგიის კათედრის და მის ბაზაზე არსებული რეანიმატოლოგიის საპრობლემო ლაბორატორიის თანამშრომლები. კათედრას ხელმძღვანელობს პროფესორი შ. მაჭავარიანი, რომელიც თანამედროვე რეანიმატოლოგიის ფუძემდებელია — აკადემიკოს ვ. ნეგოვსკის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ პრაქტიკული რეანიმატოლოგიის ჩამოყალიბებამდე მრავალი წლით ადრე პირველი შეუდგა ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობას ექსპერიმენტული რეანიმატოლოგიის დარგში და საფუძველი ჩაუყარა საქართველოში რეანიმატოლოგიის პრაქტიკული საკითხების შესწავლას.

რეანიმატოლოგიისა და ანესთეზიოლოგიის სახელმძღვანელო დაწერილია საკითხის ღრმა ცოდნით, მეცნიერების განვითარების ღღევანდელი დონის შესაბამისად. იგი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი განკუთვნილია რეანიმატოლოგიის, მეორე — ანესთეზიოლოგიისათვის; თითოეული ნაწილი ორ განყოფილებას შეიცავს — ზოგადსა და კერძოს. პირველი ნაწილის ზოგადი რეანიმატოლოგიის განყოფილებაში ძირითადი ყურადღება აქვს დათმობილი ცალკეულ ორგანოთა სისტემების ფუნქციების მდგომარეობას ორგანიზმის ტერმინალური მდგომარეობის დროს, კერძოდ, ცენტრალური ნერვული სისტემის, სუნთქვისა და გულის ფუნქციის, წყლისა და ელექტროლიტების ცვლის, მჟავა-ტუტოვანი თანაფარდობის ფიზიოლოგიურ მექანიზმებს და ამთა რეგულაციის დარღვევის გამოვლინებებს, ამავე ნაწილში დახასიათებულია ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენის კომპლექსური მეთოდები, აპარატურა და გამოყენებული ფარმაკოლოგიური, ამთ შორის დეზინტოქსიკაციისა და სისხლის შედედების სისტემის რეგულაციისათვის აუცილებელი ნივთიერებანი, პოსტრეანიმაციული პერიოდის პათოლოგია, პარენტერული კვების პრეპარატები და სხვა, რასაც სასიცოცხლო ფუნქციების რეგულაციასა და შენარჩუნებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კერძო რეანიმატოლოგიის განყოფილებაში წარმოდგენილია ტერმინალური მდგომარეობის ხელშემწყობი უხშირესი პათოლოგიები — ტრავმული შოკი, სხვადასხვა სახის დაზიანებანი, სისხლის შეწავე დაკარგვა, ატმოსფერული ფატქორთა ზემოქმედებით გამოწვეული პათოლოგიური მდგომარეობანი და სხვა სახის დაზიანებანი. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი გულის მწვავე იშემიურ დაავადებას. თირკმელზედა ჯირკვლების მწვავე უკმარისობას და ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ბრონქული ასთმის სტატუსი, ტეტანუსი, მწვავე მოწამვლა და სხვ.

ვანსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რეანიმაციულ ზემოქმედებათა განხორციელებისათვის აღწერილ ტექნიკურ მანიპულაციათა თხრობისას ყურადღებაა გამახვილებული დეტალებზე, რომლებიც სტუდენტს მისცემს მოქმედების თეორიული საფუძვლების ღრმად შესწავლის შესაძლებლობას და განაპირობებს მანიპულაციის წარმოების სწორი ჩვევების გამომუშავებას. მეორე ნაწილის პირველ განყოფილებაში ჩამოთვლილია საანესთეზიო ნივთიერებანი, მოცემულია გაუტკივარების მეთოდები თითოეულის დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩვენებით. მეორე ნაწილის მეორე განყოფილებაში მოცემულია ანესთეზიის მეთოდების, ფორმების, წესების შერჩევა სხვადასხვა ოპერაციათა დროს ორგანიზმის ინდივიდურ თავისებურებათა, ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობის, თანამგზავრ ანუ თანმხლებ ავადმყოფობათა გათვალისწინებით. დაწერილებით არის აღწერილი ტკივილის დაყუჩებისას მოსალოდნელი სიძნელეები, შეცდომები, გართულებანი, ეს უთუოდ შთააგონებს სტუდენტს სიფრთხილესა და სიფხიზლეს, არა მხოლოდ ღრმა ნარკოზების წარმოების, არამედ უმარტივესი ტკივილდამაყუჩებელი მეთოდების გამოყენების დროსაც. სახელმძღვანელო დიდ სარგებლობას მოუტანს ყველა სპეციალობის ექიმს ავადმყოფობის კლინიკური დიაგნოზის დადგენისათვის ჩასატარებელი კვლევის და მისი შედეგების შეფასებაში, მკურნალობის მეთოდების შერჩევისა და გართულებების მიზეზების გარკვევაში.

იქნებ, პირველ სახელმძღვანელოს ჰქონდეს ზოგიერთი ნაკლოვანება, რომლებიც განხილვის დროს აღინიშნა და რომლებიც უკვე გასწორდა მეორე გამოცემისათვის. სახელმძღვანელო მცირე (3000) ტირაჟით გამოიცა, რაც სრულიად ვერ დააკმაყოფილებს მასზე სტუდენტთა და ექიმთა ფართო საზოგადოებრიობის გაზრდილ მოთხოვნილებას; ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია უახლოეს ხანში მისი ხელმეორედ გამოცემა.

ო. ღუდუშაური,
ლენინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერ.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

„ᲡᲐᲮᲔᲛᲒᲝ“

თბილისი დაიწყო მოსკოვის მინიატიურების სახელმწიფო თეატრის გასტროლები, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი არკადი რაიკინი.

მაყურებელი დიდი ინტერესით შეხვდა რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს კონსტანტინე რაიკინს, რომელმაც მაყურებელს გააცნო თავისი იმპროვიზაცია მიხეილ მიშინის „სახეების“ მიხედვით. დამდგმელი რეჟისორია რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ვალერი ფოკინი, ქორეოგრაფი — კონსტანტინე რაიკინი, მხატვარი — ოლეგ შეინცისი.

**სურათზე: მინიატიურების სახელმწ